გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 96
(11 553)

7 – 10 დეკემბერი, 2001 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მოწვეულია სეოკ-ის სესია

საქართველო
GEORGIA

2001 წლის 19 დეკემბერს 12 საათზე, სასტუმრო „შერატონ-მეტეხ პალასში“ ჩატარდება საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის მორიგი სესია.

დღის წესრიგი:

1. სეოკ-ის აღმასკომის ანგარიში 2000 წლის 14 დეკემბრიდან გაწეული მუშაობის შესახებ (მომხსენებელი ჯანსულ ბაგრატიონი);
2. ზამთრის XIX ოლიმპიური თამაშებისათვის საქართველოს სპორტული დელეგაციის მზადების მიმდინარეობის შესახებ (მომხსენებელი გოგი თოფაძე).

სეოკ-ის აღმასკომი

## გაზეთის დაბეჭდვის წინ: ბექჰემი — წლის სპორტსმენი

ბრიტანეთის სპორტულმა პრესამ ქვეყნის წლის საუკეთესო სპორტსმენად დაასახელა „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფეხბურთელი დევიდ ბექჰემი. ინგლისის ნაკრების კაპიტანი, რომლის გოლმაც ბერძენთა კარში, ინგლისს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზური მოუტანა. ამავე დროს ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტი მათ შორის, ვინც ცნობილ ტელეარხ ბი-ბი-სის პრესტიჟული პრემიისთვის იბრძვის. ამ ტელეარხის ჩატარებული გამოკითხვის შედეგები ამ თვეში გამოქვეყნდება.

ინგლისელ ჟურნალისტთა ჯილდო მოიპოვა აგრეთვე ოლიმპიურმა ჩემპიონმა და ევროპის წლევანდელმა ჩემპიონმა ხუთჭიდში სტეფანი კუკმა, რომელიც ქალთა შორის გამოცხადდა წლის საუკეთესო სპორტსმენად.

ბრიტანული პრესის ვერსიით, წლის საუკეთესო გუნდად აღიარებულია საფეხბურთო კლუბი ლივერპული, რომელმაც ბოლო ექვს თვეში უკვე მეხუთე ტიტული მოიპოვა.


ბექჰემი



5

«ყველა დროის» ქუთაისის «ტორპედო»

## მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში

**ვაჟები • 1/8 ფინალი**

რუსლან პონომარევი (უკრაინა) — ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) 1:1 ტაიმ-ბრეიკი 1,5:0,5
ვასილი ივანჩუკი (უკრაინა) — ცზიანხუანი (ჩინეთი) 1,5:0,5
ჟოელ ლოტე (საფრანგეთი) — პრედრაგ ნიკოლიჩი (ბოსნია) 1:1 ტაიმ-ბრეიკი 2:0
ევგენი ბარეევი (რუსეთი) — იან ელვესტი (ესტონეთი) 2:0
ბორის გელფანდი (ისრაელი) — ზურაბ აზმაიფარაშვილი (საქართველო) 1:1 ტაიმ ბრეიკი 2:1
ალექსეი შიროვი (ესპანეთი) — ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) 1:1 ტაიმ-ბრეიკი 3:2
პეტრე სვიდლერი (რუსეთი) — მაიკლ ადამსი (ინგლისი) 1:1 ტაიმ-ბრეიკი 2,5:1,5
ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) — დრეევი (რუსეთი) 1,5:0,5

**ქალები • 1/4 ფინალი**

მაია ჩიბურდანიძე (საქართველო) — პენ ჩჟაოცინი (ჩინეთი) 1:1 ტაიმ-ბრეიკი 2,5:1,5
ჩჟუ ჩენი (ჩინეთი) — ნინო ხურციძე (საქართველო) 1:1 ტაიმ-ბრეკი 3:2
სიუი იუიხუა (ჩინეთი) — კრისტინა ფოიშორი (რუმინეთი) 1:1 ტაიმ-ბრეიკი 3:1
ალექსანდრა კოსტენიეკი (რუსეთი) — ელმირა სკრიპჩენკო (მოლდოვა) 1,5:0,5

**ვაჟები • 1/4 ფინალი**

ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) — ალექსეი შიროვი (ესპანეთი) 0,5:0,5
ბორის გელფანდი (ისრაელი) — პიოტრ სვიდლერი (რუსეთი) 0,5:0,5
ჟოელ ლოტე (საფრანგეთი) — ვასილი ივანჩუკი (უკრაინა) 0,5:0,5
რუსლან პონომარევი (უკრაინა) — ევგენი ბარეევი (რუსეთი) 0,5:0,5

**ქალები • 1/2 ფინალი**

მაია ჩიბურდანიძე (საქართველო) — ჩჟუ ჩენი (ჩინეთი) 0,5:0,5
სიუი იუიხუა (ჩინეთი) — ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი) 1:0

შეგახსენებთ, რომ ჩემპიონატი მიმდინარეობს მოსკოვში.

## მეოთხე პარტიაც — ყაიმი!




გარი კასპაროვისა და ვლადიმირ კრამნიკის მატჩში, სადაც მოჭადრაკეები მიხეილ ბოტვინიკის მემორიალის გამარჯვების სახელის მოსაპოვებლად იბრძვიან, ზედიზედ მეოთხე ყაიმი აღინიშნა დღემდე გათამაშებულ ოთხ პარტიაში. ამჯერად დაზავება მეტოქეს კასპაროვმა შესთავაზა მე-19 სვლაზე. საერთო ანგარიშიც კვლავ საყაიმოა 2:2. ეს იყო ბოლო პარტია, რომელიც „კლასიკური“ ჭადრაკით გათამაშდა. ახლა მსოფლიოს ორ უძლიერეს მოჭადრაკეს წინ აქვთ კიდევ ორი მიკრომატჩი, რომელიც მოიცავს სწრაფი ჭადრაკის 6, და „ბლიცის“ 10 პარტიას.

## ასპინძა უფეხბუროდ დარჩა

4

ქართული ფეხბურთი ცოდნას ილრმავებს

ანუ «რაც მოგივა დავითაო»...



7

UEFA CUP
უეფას თასი

დორტმუნდი — კოპენჰაგენი



UEFA CHAMPIONS LEAGUE
ჩემპიონთა ლიგა
II ჯგუფური ეტაპი

ბაიერი — დეპორტივო

6

მანჩესტერი — ბოავიშტა



NBA
ნბა




3

UEFA CUP
უეფას თასი

**წუხელ...**

| | |
|---|---|
| ბრონდბიუ (დანია) – პარმა (იტალია) | 0-3 |
| ჰერტა (გერმანია) – სერვეტი (შვეიცარია) | 0-3 |
| ლიტექსი (ბულგარეთი) – აეკ (საბერძნეთი) | 1-1 |
| ლილი (საფრანგეთი) – ფიორენტინა (იტალია) | 2-0 |
| ლიონი (საფრანგეთი) – ბრიუგე (ბელგია) | 3-[illegible] |
| პსვ (ჰოლანდია) – პაოკი (საბერძნეთი) | 4-1 |

ATHENS 2004

CANDIDATE CITY

მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 2 წელიწადი და 8 თვე დარჩა

SALT LAKE 2002

ზამთრის XIX ოლიმპიურ თამაშებს 63 დღე გვაშორებს

8–24 თებერვალი 2002 წ.

**მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, საქართველო – ქართულ სპორტს!**

# ოლიმპიური ცეცხლი ამერიკაშია



მას შემდეგ, რაც ათენში, იმ სტადიონიდან, სადაც თანამედროვეების პირველი ოლიმპიური თამაშები ჩატარდა, ოლიმპიური ცეცხლი სოლტ-ლეიკ-სიტის მიმართულებით ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე ასანთებად საზეიმოდ გააცილეს, წმინდა ცეცხლი უკვე ამერიკის ტერიტორიაზეა, სადაც მას პირველები მიეგებნენ მუჰამედ ალი, ნიკი სტოუნი და ბონი ბლეირი. ამ მოვლენასაც საზეიმო ცერემონიალი ახლდა.

„ეს ძვირფასი ცეცხლი კვლავ გაგვინათებს თავისი სინათლით ჩვენს მისწრაფებას და იმედებს" – თქვა თავის სიტყვაში ბილ პეინმა, რომელიც ექვსი წლის წინათ ატლანტაში გამართულ საორგანიზაციო კომიტეტს ხელმძღვანელობდა.

ამერიკის ტერიტორიაზე ცეცხლი გაივლის 21726 კმ-ს. ამ გზაზე ის 11,5 ათასი ადამიანის ხელიდან ხელში გადავა. ერთ-ერთი ღირსსახსოვარი მოვლენა იქნება ის, რომ ოლიმპიური ცეცხლი პირველად ეწვევა ალიასკას. ეს მოხდება 24 იანვარს. მეორე დღეს – შობის ღამეს, ცეცხლს ჩაიტანენ ნიუ-იორკში, ქალაქში, სადაც 11 სექტემბრის შემზარავი ტერაქტი მოხდა. აქ ცეცხლს წაიღებენ ტერაქტის დროს დაღუპულთა ნათესავები. ოთხი დღით ადრე კი – 21 იანვარს ჩირაღდანს შეეგებებიან ვაშინგტონში. ვარაუდობენ, რომ იგი ეწვევა კაპიტოლიუმსაც, თუმცა ამისთვის საჭირო იქნება ცვლილებების შეტანა კანონმდებლობაში – ამ შენობაში ღია ცეცხლის შეტანა კანონით იკრძალება.

ახალ წელს ცეცხლი შეხვდება კანადის მოსაზღვრე ბაფალოში. სანტ-ლუისში კი პირველი ორდღიანი (8-9 იანვარი) შესვენება იგეგმება. იუტას შტატში მოგზაურობას ჩირაღდანი კი 4 თებერვალს დაიწყებს – თამაშების გახსნამდე ოთხი დღით ადრე.

ვიდრე ამერიკის ტერიტორიაზე ცეცხლოვანი ესტაფეტა დაიწყებოდა, იგი „კოკა-კოლას" და „ჯენერალს მოტორსის" შტაბბინებს აწვიეს. „კოკა-კოლა" ოლიმპიური თამაშების ყველაზე სტაჟიანი სპონსორია, „ჯენერალ მოტორსის" ლოგო კი იმ მანქანას ამშვენებს, რომელიც ცეცხლს მიაცილებს ამერიკის ტერიტორიაზე.

# სოლტ-ლეიკ-სიტში მომაკვდინებელი ღრუბელი ჩამოწვა

ზამთრის მომავალ ოლიმპიადამდე ორი თვით ადრე, თამაშების მასპინძელ ქალაქში პანიკა დატრიალდა. ქალაქის თავზე შავი ღრუბელი გაჩნდა და მზის სხივებს აღარ ატარებს. მიზეზი – გამონაბოლქვი. აუტანელმა სმოგმა გამოიწვია მასობრივი ასთმა და სასუნთქი გზების კატარი, საავადმყოფოები გადაჭედილია.

მომაკვდინებელი ღრუბლის გაჩენის გამომწვევ მიზეზად სახელდება ავტომანქანების და სამრეწველო თუ საყოფაცხოვრებო გამონაბოლქვი. ვარაუდობენ, რომ სასწრაფოდ უნდა შემცირდეს ქალაქში მანქანების მოძრაობა, ბუხრით სარგებლობა და გაიწმინდოს საწარმოების საკვამურები. თუ ღრუბელი, რომელსაც ქალაქის ირგვლივ შემოჯარული მთები მოძრაობის საშუალებას არ აძლევს, კვლავ დარჩება ქალაქის თავზე, არის მოსაზრება, რომ იგი ვეებერთელა ვენტილიატორით გაფანტონ.

სამაგიეროდ, მთებშია სუფთა ჰაერი, იქ, სადაც შეჯიბრებები ჩატარდება, მაგრამ ოლიმპიური სოფელი და სასტუმროები ხომ ქალაქშია. მოკლედ, ოლიმპიადის მასპინძელი, რომელიც ასეულ მილიონებს არ ზოგავს ოლიმპიელთა და სტუმართა უსაფრთხოებისათვის, ახალი საშიშროების წინაშე აღმოჩნდა.

მაგრამ, მხოლოდ წლეულს გამოჩნდა სმოგის შავი ღრუბელი სოლტ-ლეიკ-სიტის თავზე თუ ეს ჩვეული ამბავია, რასაც აქამდე მალავდნენ? – კითხულობენ ცნობისმოყვარენი.

## ხიდი ოლიმპიადის სტუმრებისთვის

იუტას უნივერსიტეტმა, როგორც სოლტ-ლეიკ-სიტის ზამთრის ოლიმპიადისთვის მზადების ბოლო შტრიხი, საზეიმოდ გახსნა ფეხით სავალი ხიდი, რომელიც ერთმანეთთან აერთებს ოლიმპიურ სოფელს და სტადიონს, სადაც გაიმართება თამაშების გახსნის და დახურვის ცერემონიალი.

**ცურვა** თბილისის თასის ღია გათამაშება

# ზამთარში მოცურავეთა შეჯიბრება დაგვიბრუნდა

## მიაგეთ პატივი გიორგი უდესიანს





თბილისის მერია, მისი სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახური (უფროსი დავით ჭელიძე) დედაქალაქის სპორტული ცხოვრების აღებულ რიტმს არ ანელებს და ზამთრის დადგომის მიუხედავად, შეჯიბრებებს შეჯიბრებებზე ატარებს, რაც ახალისებს და სტიმულს აძლევს ჩვენს მოზარდ სპორტსმენებს. რომ გვეგონა, სპორტის წყალთა სახეობები, განსაკუთრებით ცურვა, წლეულსაც უწყლოდ გამოიზამთრებდა, პირიქით მოხდა. მას შემდეგ, რაც დიღმის მასივში დახურული საცურაო აუზი აღსდგა და იქ შეიქმნა ოლიმპიური მომზადების ცენტრი, რომელსაც უნარიანი, ორგანიზაციული ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება გიორგი უდესიანი ჩაუდგა სათავეში, წყალთა სახეობებს თავშესაფარი გაუჩნდა სუსხიან ზამთარში, რისთვისაც მადლობელია როგორც ფედერაცია, ისე სპორტსმენები და მათი მწვრთნელები.

ამ დღეებში ზემოხსენებულ ცენტრში თბილისის თასის ღია გათამაშება ჩატარდა ცურვაში. გასახარია, რომ თბილისელთა გარდა, ასპარეზობაში ჩაებნენ სომხეთის, გორის, რუსთავის, სპორტსაზოგადოება „შევარდენის" და ოლიმპიური ცენტრის მოცურავეთა გუნდები.

თბილისის თასის მფლობელები გახდნენ თბილისელები ვახტანგ ბერიძე და ანა სალნიკოვა, რომლებიც 2004 წლის ოლიმპიური თამაშების კანდიდატები არიან. თავი გამოიჩინა აგრეთვე ოლიმპიადის კიდევ ერთმა კანდიდატმა ზურაბ ხომასურიძემ ბატერფლაით ცურვაში. სპეციალისტების ყურადღება მიიპყრეს გორელმა ნორჩმა მოცურავემ ნინო ბუხრიკიძემ გულაღმა ცურვაში და თბილისელმა ლევან ბუზალაძემ თავისუფალი ყაიდით ცურვაში.

***გაგაცნობთ გამარჯვებულებს.*** ანა სალნიკოვა: ბრასი. 100მ — 1.21,7, 200 მ — 2.55,2, სულ 1444 ქულა; ლევან ბუზალაძე: თავისუფალი სტილი. 200 მ — 2.09,9, 800 მ — 9.18,6 (1343); ვახტანგ ბერიძე: თავისუფალი სტილი. 50 მ — 24,6, 100 მ — 54,2 (1651); ზურაბ ხომასურიძე: ბატერფლაი. 100 მ — 58,5, 50 მ — 26,5 (1565); ნინო ბუხრიკიძე: გულაღმა ცურვა. 50 მ — 39,6, 100 მ — 1.28,7 (792).

**ირმა ჯოხონელიძე**

# სამი გამარჯვებული ყაზბეგის რაიონის ერთი ოჯახიდან

190 ჭაბუკი ფალავნის მონაწილეობით „შრომით რეზერვებში" მეხუთედ ჩატარდა გელა ელოშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში 1987-1989 წლებში დაბადებულთათვის.

ასპარეზობის მთავარი მსაჯი იყო საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი გია კოტიშაძე.

***გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს:*** ***26 კგ:*** 1. შალვა ქარსაულიძე (საგარეჯო), 2. აკაკი ქაფიანიძე (ყვარელი), 3. კოტე გურგენიძე (ბაღდადი); ***29 კგ:*** 1 ამირან კაკაჩეიშვილი (ხონი), 2. ვასილ მამულაშვილი (საგარეჯო), 3. ვახტანგ გოგოლაშვილი (მართვე); ***35 კგ:*** 1. შოთა ფაჩუაშვილი (ხონი), 2. მიხეილ წამალაძე (მართვე), 3. შოთა ბოზალი (ყაზბეგი). ***38 კგ:*** 1. დავით მარსაგიშვილი (ყაზბეგი), 2. გია წითური (ავჭალა), 3. ბექა ბუქური (მართვე); ***42 კგ:*** 1. ირაკლი რუხაია (მართვე), 2. ჯაბა ცოტაძე (ხონი), 3. გიორგი მუჩაიძე (შევარდენი); ***46 კგ:*** 1. გიორგი მარსაგიშვილი (ყაზ), 2. ბესიკ გობეჯიშვილი (მართვე), 3. მურთაზ კვესაძე (ორს); ***50 კგ:*** 1. ონისე დადუნაშვილი (მართვე), 2. ლევან მაჩაიძე (ორს), 3. გოჩა ლომთათიძე (თედ. კლ); ***54 კგ:*** 1. ლევან ასპანიძე (რუსთავი), 3. თენგიზ ნაკაშიძე (ორს), 3. გიორგი ნერგაძე (მართვე); ***59 კგ:*** 1. სულხან ჯიჯავაძე (ორს), 2. გოგა სამხარაძე (თედ. კლ), 3. ლევან დოდაშვილი (ყვარელი); ***66 კგ:*** 1. მალხაზ კოკოლაძე (ბათუმი), 2. გიორგი ელოშვილი (გელა ელოშვილის ვაჟი), 3. დავით ქემაშვილი (ორივე — მართვე); ***73 კგ:*** 1. ირაკლი მარსაგიშვილი (ყაზბეგი, მას გადაეცა გელა ელოშვილის პრიზი), 2. ზაზა თურმანიძე (ორს), 3. მიხეილ ავსაჯანიშვილი (მართვე), ***85 კგ:*** 1. ალექსანდრე მოძმანაშვილი (ლოკომოტივი), 2. ალექსანდრე დოჩია (ორს), 3. ერეკლე კამლაძე (ლოკომოტივი); ***100 კგ:*** 1. გოგი ხუჭუა (ორს), 2. გიორგი ცაგურია (მართვე), 3. ვლადიმერ ხოხაშვილი (თედ. კლ).

**ნინო ქავთარაძე**



*„ეს იშვიათი შემთხვევაა, როცა ერთი ოჯახიდან ერთ შეჯიბრებაში სამი შვილი გამოდის გამარჯვებული" – თქვა ჭიდაობის პროფესორმა ვახტანგ ბალავაძემ და ამ იშვიათი მოვლენის ფირზე აღბეჭდვა მოისურვა. აქვეა სამივე გამარჯვებულის მამა.*





# შეკითხვა „ლელოს"

**შეკითხვა:** გთხოვთ გვიპასუხოთ, როდის გაიხსნა პირველი საჭადრაკო კლუბი თბილისში, როდის ჩატარდა თბილისის, საქართველოს პირველი ოფიციალური შეჯიბრებები?

*ნათია და გიორგი გოგლიძეები*
*თბილისი*

**პასუხი:** უტყუარი ცნობები არსებობს იმის შესახებ, რომ საქართველოში პირველი საჭადრაკო კლუბი გაიხსნა თბილისში 1923 წელს და მას ეწოდა თბილისის ცენტრალური საჭადრაკო კლუბი, რადგან ჩაფიქრებული იყო სხვა კლუბების გახსნა საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში, რაც მოგვიანებით განხორციელდა კიდეც.

თბილისის პირველობების ჩატარებას ჭადრაკში საფუძველი ჩაეყარა 1924 წელს, 1928 წელს კი გაიმართა საქართველოს მოჭადრაკეთა პირველი ჩემპიონატი, უფრო ადრე და შემდგომშიც იმართებოდა აგრეთვე ამიერკავკასიის პირველობები.

1928 წლიდანვე ქართული პრესა სპეციალური განყოფილებების შემოღებით იწყებს ჭადრაკის მასობრივ პროპაგანდას.

# საქართველოს ოლიმპიური ჩემპიონები



# მზია ჯუღელიდან – უსასრულობისაკენ

უცხოეთში მოგზაურობებს ბოლო არ უჩანდა. ერთსა და იმავე ქვეყანაში საჩვენებელი გამოსვლები საგრძნობლად მოსაწყენიც გახდა არა მხოლოდ ტანმოვარჯიშეებისთვის, არამედ მაყურებლებისთვისაც. 50-იან წლებში ამხანაგური საერთაშორისო ასპარეზობები იშვიათად იმართებოდა, არადა, ოლიმპიურ ციკლში სპორტსმენთა საშეჯიბრო პრაქტიკა თუ არა, ხშირი გამოსვლები, თუნდაც საჩვენებელი, აუცილებელი იყო.

პროგრამა რომ გაეხალისებინათ, საქმეში ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციაც ჩაერია. სწორედ მათი ინიციატივით მოეწყო იუგოსლავიაში 1958 წელს ე.წ. გიმნასტრადა. ბელგრადში შეიკრიბა მრავალი ქვეყნის დელეგაცია. საბჭოეთიდან, როგორც ყოველთვის, ძლიერი შემადგენლობა შეირჩა. ჩვენგან ეს პატივი წილად ხვდათ დელეგაციის უცვლელ წევრს მზია ჯუღელს და რეზო კაჭახიძეს, მოსკოვიდან – ვლადიმერ ბელიაკოვს, ევგენი კარალკოვს, ვიქტორია ივანოვას, ლუსია მოტორინას, ვალენტინა ტიურინას, ლენინგრადელ – კლავდია ორეშკინას, ერევნელებს – გრანტ შაგინიანს და ალბერტ აზარიანს.

ტიურინა და ორეშკინა თითქმის ოცი წელიწადი გამოდიოდნენ სარბიელზე მზიასთან ერთად მოსწავლეთა საკავშირო შეჯიბრებიდან მოყოლებული. მათი მეგობრობა დიდი სპორტიდან წასვლის შემდეგაც გრძელდებოდა.

მაინც რა იყო „გიმნასტრადა" და რა შედიოდა პროგრამაში? „ეს იყო სანახაობითი ტანვარჯიშული გამოსვლა, სადაც ოსტატობასთან ერთად, ფასდებოდა სცენარის მხატვრული დონე. გამოსვლები იყო არა ინდივიდუალური, არამედ ჯგუფური – ერთდროულად სრულდებოდა სხვადასხვა ვარჯიშები სტადიონზე საგანგებოდ შექმნილ კონსტრუქციაზე, რომელიც აერთიანებდა ტანვარჯიშის თითქმის ყველა იარაღს, ამას ემატებოდა, თავისუფალი ვარჯიში. ეს უფრო თავისებური კონკურსი იყო და არა შეჯიბრება. მთავარი იყო ამ სინქრონულ, რთულ ვარჯიშებში, ტანმოვარჯიშეს ბოლომდე შეესრულებინა თავის პროგრამა, იარაღიდან თუნდაც ერთი მონაწილის მოწყვეტით, გუნდი შეუფასებელი რჩებოდა" – ამბობს ქალბატონი მზია.

როგორც მოსალოდნელი იყო, საბჭოთა ტანმოვარჯიშეებმა თავი არც აქ შეირცხვინეს და საუკეთესონი იყვნენ. მზია ჯუღელი ნაირსიმაღლის ორძელზე, დვირზე და რგოლებზე ქანში ასრულებდა ძნელ ვარჯიშებს, რეზო კაჭახიძემ მაყურებელი აღაფრთოვანა ურთულესი ვარჯიშების ღერძზე და პარალელურ ორძელზე უზადო შესრულებით.

სხვადასხვა ქვეყნების რჩეულ ტანმოვარჯიშეთა სტუმრობა იუგოსლავიაში კულტურული პროგრამითაც იყო გაჯერებული, რომლის მონაწილენი ხშირად თავად სტუმარი სპორტსმენები იყვნენ. ჩვენი ოლიმპიური ჩემპიონი ერთ ღონისძიებას განსაკუთრებულად იგონებს. ეს იყო ტანმოვარჯიშეთა კონკურსი სამეჯლისო ცეკვებში. მზიამ და მისმა პარტნიორმა ვალოდია ბერდიევმა არც ამ კონკურსში დაუთმეს უცხოელ მეგობრებს პირველობა და ორივემ, ცალ-ცალკე, პრიზი – ბროლის ძვირფასი ვაზა დაიმსახურეს, რომელზედაც მხოლოდ ერთადერთი სიტყვა იყო ამოკვეთილი – „გამარჯვებულს". სამწუხაროდ, იმ პრიზმა მზიას მდიდარ ნადავლში ადგილი ვერ ჰპოვა – გზაში გაუტყდა. „ალბათ იმიტომ, რომ სპორტული ჯილდო არ იყოო" – ხუმრობს ქალბატონი მზია.

მაშინ წესი იყო, ყველა სტუმარს, ვინც ბელგრადში ჩადიოდა აუცილებლად უნდა მოენახულებინა იუგოსლაველთა ბელადის იოსიფ ბროზ ტიტოს საფლავი. სავალდებულო რიტუალის შესასრულებლად, ცხადია, საბჭოთა დელეგაციაც მივიდა ტიტოს საფლავთან, სადაც ცოცხალი ყვავილების მთა დახვდათ და ძლივს გამონახეს ადგილი მიტანილი გვირგვინისთვის.

იმავე წელს საბჭოთა ტანმოვარჯიშეებმა იმოგზაურეს პოლონეთში, საჩვენებელი გამოსვლები ჰქონდათ ლოძსა და პოზნანში. მზია გრძნობდა, რომ ახლოვდებოდა დიდი სპორტიდან მისი წასვლის დრო. და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ შინ მუდამ მოუთმენლად ელოდებოდა შვილი და ყოველი განშორება მისთვისაც და ბავშვისთვისაც ძნელი ასატანი იყო, საყვარელ საქმეს ადვილად ვერ ელეოდა. რამდენჯერაც ჩაფიქრდებოდა და იტყოდა „მორჩა", როცა საქმე საქმეზე მიდგებოდა, იმდენჯერ უკან იხევდა. დიდმა სპორტსმენებმა ყველაზე უკეთ იციან, რა ძნელია ერთბაშად წასვლა სპორტიდან.

საქართველოს სპორტის მესვეურები შეფარულად ცდილობდნენ მზია ისე გამოთხოვებოდა სპორტულ სარბიელს, მისთვის ეს ნაკლებ მტკივნეული ყოფილიყო. და აი, ერთ დღეს, საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ პრეზიდიუმის სხდომის დამთავრების შემდეგ, რომლის წევრიც მზია იყო, რამდენიმე წუთით შეყოვნება სთხოვა ოლიმპიურ ჩემპიონს.

ამდენს მოგზაურობ, სხვებს გადასცემ შენს გამოცდილებას, იქნებ თბილისის რომელიმე სკოლას გაუწიო შეფობა, აიყვანე ტანმოვარჯიშეთა ჯგუფი – ძირითადად ასეთი იყო საუბრის თემა. მზიამ ეს თხოვნა შეასრულა, თუმცა ყველაფერი ამით არ დასრულებულა, შეგუების პროცესი დაიწყო მხოლოდ. სპორტიდან წასვლამდე რამდენიმე გამოსვლებში მონაწილეობა უცხოეთში, ჯერ კიდევ წინ იყო.

**თენგიზ გაჩეჩილაძე**

*დასაწ. იხ. „ლელო" №40.... 93.*

*გაგრძელება იქნება*

გამოიწერეთ ლელო 2002 წლისათვის

# ცნობები ინტერნეტის სამყაროდან

## ნბა

**იუტა – შარლოტი 104:100**

***იუტა:*** მელოუნი (22), კირილენკო (19+7 მოხსნა), სტოქტონი (19)

***შარლოტი:*** დევისი (21+11გადაცემა), მეგლოირი (19), უესლი (17), ნეილონი (14).

**კლივლენდი – დეტროიტი 100:88**

***კლივლენდი:*** მილერი (34+11 გადაცემა), მიურეი (19), პერსონი (12), იგლაუსკასი (11).

***დეტროიტი:*** უილიამსონი (19), რობინსონი (17), ეტკინსი (16+10 გადაცემა), სტეკჰაუზი (14).

**ინდიანა – დენვერი 104:96**

***ინდიანა:*** როუზი (25+10 მოხსნა), ონილი (23+11 მოხსნა), ჰარინგტონი (18), მილერი (11).

***დენვერი:*** ვან ექსელი (30+10 გადაცემა), ლენარდი (20), ლაფრენტცი (13+12 მოხსნა).

**მილუოკი – ნიუ იორკი 71:85**

***მილუოკი:*** რობინსონი (24), ტომასი (13), კესელი (12), ალენი (10).

***ნიუ იორკი:*** სპრიუელი (28), ჰიუსტონი (22), ჰარინგტონი (10).

**მინესოტა – სიეტლი 108:83**

***მინესოტა:*** გარნეტი (21+15 მოხსნა), შერბიაკი (20), ბილაპსი (16), ნესტეროვიჩი (12).

***სიეტლი:*** ლუისი (17), პეიტონი (15), ბეიკერი (13), უოტსონი (10).

**საკრამენტო – ფილადელფია 94:84**

***საკრამენტო:*** სტოიაკოვიჩი (20+12 მოხსნა), ბიბი (18), ჯექსონი (16), ტურკოგლუ (15), დივაცი (11).

***ფილადელფია:*** აივერსონი (24), კოულმენი (15), ბელი (14), მუტომბო (10+13 მოხსნა).



ჩიკაგო – ჰიუსტონი



კლიპერსი – მაიამი

**ჩიკაგო – ჰიუსტონი 103:75**

***ჩიკაგო:*** მერერი (22), ფიზერი (17), ჰესელი (15), ჰოიბერგი (11).

***ჰიუსტონი:*** ნორისი (12), ბრაუნი (10).

**სან-ანტონიო – ვაშინგტონი 103:88**

***სან ანტონიო:*** დენიელსი (15), დანკანი (13+11 მოხსნა), რობინსონი (13), სმიტი (12).

***ვაშინგტონი:*** ჰამილტონი (24), ალექსანდერი (16), ჰეივუდი (11), ბრაუნი (10+12 მოხსნა).

**კლიპერსი – მაიამი 87:83**

***კლიპერსი:*** ბრენდი (23+17 მოხსნა), რიჩარდსონი (19), ოდომი (13).

***მაიამი:*** მოურნინგი (21), ჯექსონი (14), გეტლინგი (13).

*5 დეკემბერი*

ლეიკერსი — დალასი 98:94
ბოსტონი — დენვერი 95:80
ატლანტა — სან-ანტონიო 112:120
დეტროიტი — სიეტლი 95:91
ორლანდო — ჩიკაგო 102:74
ნიუ ჯერსი — ფინიქსი 106:87
გოლდენ სტეიტი — ფილადელფია 93:87

# სამპრასი მწვრთნელს იცვლის

მსოფლიოს ექს-პირველმა ჩოგანმა პიტ სამპრასმა თავის მწვრთნელად მიიწვია ტომ გალიქსონი, მისი ყოფილი მწვრთნელის ტიმ გალიქსონის ტყუპისცალი. ეს უკანასკნელი 1996 წელს გარდაიცვალა კიბოს დაავადებით.

ჩოგბურთელმა გადაწყვიტა თავის ბოლოდროინდელ მწვრთნელს პოლ ანაკონს გაჰყროდა 6-წლიანი ერთად მუშაობის შემდეგ. ეს სპეციალისტი გენერალურ მენეჯერად მიიწვიეს პროექტში „მომავლის ამერიკელი ჩემპიონები".

წლეულს სამპრასს, პირველად 1992 წლის შემდეგ, არ მოუგია „დიდი სლემის" არც ერთი ტურნირი და სეზონი დაამთავრა მეათე ადგილით მსოფლიო რეიტინგში.



სამპრასი

„გადავწყვიტე, რომ საჭიროა სხვა მიმართულებით მოძრაობა, ამიტომაც დავცილდი პოლს. მე მას ძალიან დიდ პატივს ვცემ. ჩინებული ურთიერთობა გვაქვს და კვლავ ჩემი მეგობარია, მაგრამ დღეს მე მესაჭიროება რამენაირი ცვლილებები, რაღაც სრულიად ახალი. ძალიან ნერვიულად გამოვდიოდი განვლილ სეზონში და მსურს დავიწყო მომავალი სეზონი კარგ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მზადყოფნაში. ვფიქრობ, ტომი ამაში დამეხმარება. ის ძალიან კარგი პიროვნებაა და მჯერა, რომ ჩინებულად ვითანამშრომლებთ" – უთხრა სამპრასმა ამერიკელ ჟურნალისტებს.

# პროსტს ლიკვიდაცია ემუქრება?

მას შემდეგ, რაც გაჩნდა ოპტიმიზმი „ფორმულა-1"-ში გაკოტრებული „პროსტის" შესაძლო მონაწილეობაზე, არაკეთილმოსურნეებმა განგაში ასტეხეს და გუშინვე გაჩნდა ინფორმაცია, რომ „პროსტი" შეიძლება საერთოდ იქნეს ლიკვიდირებული სასამართლოს გადაწყვეტილებით. თუმცა, ალენ პროსტი, რომელსაც ეს გუნდი ეკუთვნის, გადარჩენის იმედს სასამართლოშიც ხედავს თუკი ვინმე სერიოზული მყიდველი გამოჩნდება, სერიოზული მყიდველი კი ჯერჯერობით ოთხია. (იხ. მე-8 გვ).



# ბარტეზი ისევ მაიმუნობს

ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ ოფიციალურად გააფრთხილა „მანჩესტერ იუნაიტედის" მეკარე ფაბიენ ბარტეზი, რომელმაც „არსენალთან" გასვლითი მატჩის დროს გულშემატკივრებს უხამსი ჟესტი აჩვენა. „ამიერიდან განსაკუთრებულად მივადევნებთ თვალ-ყურს ბარტეზის საქციელს და მივიღებთ უმკაცრეს ზომებს" – განაცხადეს ფედერაციის ჩინოვნიკებმა..

# „კრილია სოვეტოვის" პრეზიდენტი სენატორი გახდა

სამარის ამ საფეხბურთო კლუბის პრეზიდენტი გერმან ტკაჩენკოს კანდიდატურა ოლქის გუბერნატორმა წარადგინა საოლქო დუმაში განსახილველად და თახმობაც მიიღო. ამიერიდან ტკაჩენკო ოლქის ინტერესებს წარმოადგენს რუსეთის ფედერაციის საბჭოში.

# ფიფას ახალი სპონსორი

გუშინ ფიფას ოფიციალური სპონსორი გახდა გერმანული კომპანია „დოიჩე ტელეკომი". ეს კომპანია სპონსორობას გაუწევს ფეხბურთში 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატს, რომელიც გაიმართება გერმანიაში. კონტრაქტს ხელი მოაწერეს ზეპ ბლატერმა და კომპანიის პრეზიდენტმა რონ სომერმა (*სურათზე მარჯვნივ*).





ფრანკო ფერარი მწვრთნელთა მომზადების სკოლებს კურირებს, არის კოვერჩიანოს მწვრთნელთა სკოლის ტექნიკური დირექტორი, მის ლექციებს ისმენს იტალიის სერია „A“-ს არაერთი გამოჩენილი და წარმატებული სპეციალისტი. ორწლიანი შესვენების შემდეგ იგი ისევ თბილისში ჩამოვიდა — სამი დღის განმავლობაში ლექციები წაუკითხა ბავშვთა ფეხბურთში მოღვაწე ქართველ მწვრთნელებს. წასვლამდე პრესკონფერენციაც გამართა. მასმედიას მოუთხრო ქართული ფეხბურთის პერსპექტივებზე, ქართველებისა და იტალიელების მენტალიტეტის მსგავსებაზე, მწვრთნელთა მომავალზე, იტალიური და საერთაშორისო ფეხბურთის განვითარების ტენდენციაზე. ჩვენს ფეხბურთზე კი მოკლედ განაცხადა: „პოტენციალი უთუოდ არის, წინსვლა და განვითარება კი დროის ამბავია“.

გთავაზობთ ინტერვიუს იტალიელ სპეციალისტთან.

# ვიაროთ განვითარებული საფეხბურთო ქვეყნების კვალდაკვალ

● ***როგორ შეაფასებდით კურსების მიმდინარეობას?***

— სამი დღის მუშაობის შემდეგ, აუდიტორიასთან ურთიერთობიდან გამომდინარე, მწვრთნელთა ცოდნა საკმაოდ მაღალია. ისინი ინტერესით ისმენდნენ ლექციებს. ორი წლის წინანდელი პროგრეს-კურსების შემდეგ, ერთობ პოზიტიური შთაბეჭდილება შემექმნა.

● ***რა საკითხებს მოიცავდა სალექციო თემატიკა?***

— მწვრთნელისა და ფეხბურთელის ურთიერთობებს, სათამაშო სიტუაციებს, ფიზმომზადების საკითხებს, თეორიას პრაქტიკა ცვლიდა, გავაანალიზეთ რამდენიმე ტესტი, ვიმეცადინეთ ტაქტიკაში. საერთოდ, მწვრთნელი ვალდებულია იცოდეს თუ როგორ გადასცეს ფეხბურთელს თავისი იდეები. შევეცადე ჩემი რეცეპტები და მოსაზრებები მსმენელთათვის მისაღებად გადმომეცა.

● ***რამ განაპირობა თბილისში თქვენი სტუმრობა?***

— ჩემი აქ ჩამოსვლა გაიოზ დარსაძესთან ახლო ურთიერთობამ და მისმა ავტორიტეტმა განაპირობა.

● ***იცნობთ თუ არა ქართულ ფეხბურთს?***

— ძირითადად საზღვარგარეთ მოთამაშე ლეგიონ[illegible]ებს ვიცნობ. კალაძე იტალიაში თამაშობს. ტაქტიკურად განსწავლული, მაღალი კლასის ფეხბურთელია. რამდენიმეს დასახელება კიდევ შემიძლია: არველაძე, ქეცბაია, ქინქლაძე.

● ***მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის წილისყრის თქვენეული შეფასება?***

— პროგნოზებს წინასწარ არ ვაკეთებ. ძლიერია იტალიის ნაკრები. საფრანგეთი ფავორიტია. მათ რიცხვში შეიძლება მივიჩნიოთ არგენტინა და ინგლისი. სიურპრიზს უნდა ველოდოთ აზიის ფეხბურთის წარმომადგენლებისგან. იაპონელები 10 წელია პროფესიულ ფეხბურთს ანვითარებენ. პროგრესიც შეიმჩნევა. უცხოეთში მოღვაწეობენ ფეხბურთელებიც და მწვრთნელებიც.

● ***რა სხვაობაა ევროპულ და სამხრეთ ამერიკულ ფეხბურთს შორის?***

დიდი განსხვავება არ არის. ევროპაშიც და ამერიკაშიც, ფეხბურთი უპირველესად, შედეგი და სანახაობაა, ევროპული ფეხბურთი უფრო კომპლექსურია, ბევრია ძლიერი კლუბი და ნაკრები, სამხრეთ ამერიკაში მათი რიცხვი შედარებით მცირეა. ევროპაში ბევრი სამხრეთამერიკელი ფეხბურთელი თამაშობს, მათი კლასიც საკმაოდ მაღალია, მაგალითისთვის იტალიაც გამოდგება. სათამაშო სტილის თანხვედრა და შეთავსება ხდება, განსხვავებაც თანდათან იშლება.

**კობა ჟორჟიკაშვილი** (კურსის მსმენელი, 17 წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი).

— „დასაწყისი კარგია, საკითხები ცნობილია, მათი მოსმენა აუცილებელია, ნათქვამია, გამეორება ცოდნის დედააო, ნასწავლის კიდევ ერთხელ გამეორება სასარგებლოა. კოვერჩიანოში ფრანკოს ლექციებს ადრეც დავესწარი. თემატურად შევეხეთ ტექნიკას, ტაქტიკას, ფიზიკურ ასპექტებს, ფეხბურთელის მოძრაობისას მიმდინარე პროცესებს. მოახდინა სპეციფიკური ვარჯიშების დემონსტრირება“.

**გაიოზ დარსაძე** (კურსის ხელმძღვანელი) — „თუ ჩვენი ქვეყნის ფეხბურთის განვითარება გვინდა, ბავშვთა ფეხბურთით უნდა დავიწყოთ. გამოვიყენოთ მეგობრული კავშირები, საერთაშორისო კონტაქტები, კოლეგების ცოდნა. უეფა ქართულ ფეხბურთს ეხმარება და მისი ღვაწლი უნდა დავაფასოთ, გავიზიაროთ გამოცდილება. იტალიის საფეხბურთო სკოლას 50 წლის ისტორია გააჩნია, მათგან უნდა შევითვისოთ რაც კარგია, ცხადია, საკუთარი ღირსებები შევინარჩუნოთ. განსხვავება შემოქმედებითად უნდა დავძლიოთ. თუ წინსვლა გვსურს, სხვა გზა არ არის, განვითარებული საფეხბურთო ქვეყნების კვალდაკვალ უნდა ვიაროთ.



გაიოზ დარსაძე

**საბა ლომინაძე**

## პირველი ლიგა

*მე-17 ტურის მატჩი*

მილანი — თსუ 0-0

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| დილა | 18 | 13 | 2 | 3 | 44-9 | 41 |
| მილანი | 18 | 11 | 5 | 2 | 42-17 | 38 |
| თსუ | 18 | 11 | 3 | 4 | 30-12 | 36 |
| შუქურა | 18 | 10 | 4 | 4 | 23-14 | 34 |
| ცხინვალი | 18 | 10 | 2 | 6 | 38-24 | 32 |
| ლოკომოტ.3 | 18 | 8 | 6 | 4 | 30-18 | 30 |
| დინამო2 | 18 | 7 | 1 | 10 | 16-21 | 22 |
| ლაზიკა | 18 | 6 | 4 | 8 | 22-31 | 22 |
| კოლხეთი (ხ) | 18 | 3 | 7 | 8 | 16-30 | 16 |
| მერანი-2 | 18 | 4 | 1 | 13 | 13-36 | 13 |
| ლოკ. (სამტ) | 18 | 3 | 4 | 11 | 13-34 | 13 |
| თორი | 18 | 2 | 1 | 15 | 15-56 | 7 |



## იუმორი



მიმდინარეობდა საინტერესო მატჩი. ლუდი მალე გათავდა. ვიდრე მე ლუდზე წავედი, ჩვენებს გოლი გაუტანეს. აქედან მორალი: მეკარე არ უნდა მიდიოდეს ლუდის მოსატანად.

* * *

ფეხბურთის მატჩის შემდეგ პოლიციელებმა შენიშნეს კაცი გრძელი ლაბადით და შავი სათვალით, რომელიც სტადიონიდან მიიპარებოდა. საეჭვო პიროვნება პოლიციაში მიაბრძანეს.

— ტერორისტი ხარ? — ეკითხებიან.

— არა, მსაჯი ვარ!

* * *

ფეხბურთელი კეთილისმსურველს ეუბნება: წარმოგიდგენია? მსაჯმა უხეში თამაშისთვის მინდვრიდან გამაძევა, არადა, ბურთისთვის ფეხიც არ დამიკარებია.

## დოპინგი, ვიტამინები და კვება

ეს საკითხები მთავარი იყო ექიმთა პროგრეს-კურსებზე, რომელიც სასტუმრო „თორში“ მიმდინარეობდა. სემინარი მიჰყავდა უეფას სამედიცინო კომიტეტის წარმომადგენელს, იუგოსლაველ სპეციალისტს მასიმილიანო ისიანოვიჩს. თანამედროვე ფეხბურთში მედიცინის როლი განუზომლად დიდია. სემინარს თითქმის ყველა კლუბის ექიმი დაესწრო. სტუმარს თვალსაჩინოებისთვის სლაიდებიც ჰქონდა ჩამოტანილი. ლექციის პირველი ნაწილი დოპინგის ავ-კარგიანობას დაეთმო, შემდეგ ხანგრძლივი საუბარი ლექტორსა და მსმენელებს შორის ფეხბურთელთა სწორ კვებას შეეხო. იუგოსლაველი სპეციალისტის განმარტებით, ფეხბურთელთა მიერ სტიმულატორების ხშირ გამოყენებას უეფა არასოდეს შეურიგდება.

## ჭაბუკთა ლიგა 82-83 წლიანები



*XXII ტური*

ლოკომოტივი — შევარდენი1906 0-0

ავაზა — ვაკე91 1-2

შევარდენი — კახეთი 2-0

ხალიბი — დინამო 0-3

ტონთიო — მთვარის გლობუსი 3-1

ლაზიკა — კოლხეთი 0-0

### საბოლოო ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| შევარდენი1906 (თბ) | 22 | 14 | 5 | 3 | 53-23 | 47 |
| შევარდენი (ქუთაისი) | 22 | 14 | 4 | 4 | 40-19 | 46 |
| ვაკე-91 (თბილისი) | 22 | 14 | 3 | 5 | 38-24 | 45 |
| ლოკომოტივი (სამტრედია) | 22 | 9 | 5 | 8 | 26-27 | 32 |
| ავაზა (თბილისი) | 22 | 9 | 4 | 9 | 38-33 | 31 |
| მთვარის გლობუსი (თბ) | 22 | 9 | 4 | 9 | 34-25 | 31 |
| ტონთიო (გორი) | 22 | 9 | 1 | 12 | 42-38 | 28 |
| დინამო (ბათუმი) | 22 | 7 | 6 | 9 | 19-42 | 27 |
| კოლხეთი (ფოთი) | 22 | 7 | 4 | 11 | 27-30 | 25 |
| კახეთი (თელავი) | 22 | 6 | 5 | 11 | 23-32 | 23 |
| ლაზიკა (ზუგდიდი) | 22 | 5 | 4 | 13 | 24-48 | 19 |
| ხალიბი (რუსთავი) | 22 | 5 | 3 | 14 | 21-44 | 18 |

*შენიშვნა: ლიგის პირველობა მოიგო თბილისის „შევარდენი 1906“-მა. ვერცხლი ერგოთ ქუთაისელ „შევარდნებს“, ბრინჯაო კი დედაქალაქის ვაკე-91-ს.*

## რეგიონული ლიგა ● აღმოსავლეთის ზონა

# ასპინძა უფეხბურთოდ დარჩა

პირველი ინციდენტი 30 ოქტომბრის „ვარძია“ — „ზოოვეტის“ მატჩისას მოხდა. თუმცა მასპინძელთა ვაიქომაგებისა და ფეხბურთელთა უსაქციელობის, ანუ მსაჯის ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტი, რატომღაც, დელეგატმა თამაზ ჯავახიშვილმა, მთავარმა მსაჯმა ლავრენტი რაზმაძემ და თანამსაჯებმა ხვიჩა გაგნიძემ და გიორგი ჭიჭინაძემ თბილისის ფეხბურთის ფედერაციას დაუმალეს. მხოლოდ ორი კვირის შემდეგ მოეფინა ყველაფერს ნათელი. 15 ნოემბერს „ვარძია“ — „დინამო“-3-ის მატჩი მასპინძლებმა მოიგეს 2-1, მაგრამ არ ჩასათვლელი გოლი მაყურებელთა ზეწოლის გამო, მსაჯებმა ჩათვალეს. შეხვედრის ერთ-ერთი არბიტრის განცხადებით, გოლი სიცოცხლის ფასად ჩაუთვალეს „ვარძიას“. თფფ-ს სადისციპლინო კომიტეტმა ორივე მატჩში მომხდარი ინციდენტი განიხილა და მაშინ ასე დაადგინა: ჯავახიშვილს აეკრძალა მატჩების დელეგატობა, კლუბი 500 ლარით დაჯარიმდა, მიიღო სამი თამაშით დისკვალიფიკაცია და თბილისის „დინამოსთან“ მოგების მაგიერ, ტექნიკური წაგება 0-3 ჩაეთვალა. მაგრამ, სამწუხაროდ, მიღებულმა მკაცრმა სანქციებმა შედეგი არ მოიტანა. შემდგომ ტურში უკვე ნეიტრალურ ახალციხის სტადიონზე განმეორდა იგივე უმსგავსოება. „ვარძია“ — „ლიახვის“ მატჩის 88-ე წუთზე, მასპინძელთა კარში სამართლიანად დაინიშნა პენალტი, რამაც არეულობა გამოიწვია. მსაჯებს ფეხბურთელები მისცვივდნენ, მათ მაყურებლებიც აჰყვნენ და მონასტერიც აირია. მასპინძელმა მამუკა ჩილაძემ მატჩის მთავარი მსაჯი გურამ ასკარ-ოღლი სცემა. გვარიანად მოხვდა თანამსაჯ გოგოლაძესაც, თამაში ჩაიშალა. აღსანიშნავია, რომ მამუკა ჩილაძეს არ ჰქონდა თამაშში მონაწილეობის უფლება, მაგრამ იგი მინდორზე სხვისი გვარით გამოვიდა, რაც სიყალბის ტიპიური ნიმუშია.

თბილისის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილება სამართლიანი და უმკაცრესი იყო. დადგენილების პუნქტებში ასეთი სანქცია დაფიქსირდა:

1. საფეხბურთო კლუბი „ვარძია“ სისტემატური დარღვევებისთვის მოიხსნ XIII ეროვნული ჩემპიონატიდან;
2. კლუბი დაჯარიმდა 1000 ლარით;
3. მამუკა ჩილაძეს სამუდამოდ აეკრძალა ფეხბურთის თამაში.
4. კლუბის მთავარი მწვრთნელი პაატა წამალაშვილი სისტემატური დარღვევებისთვის და საბუთების გაყალბებისთვის განთავისუფლდა თანამდებობიდან და აეკრძალა საკლუბო ფეხბურთში მოღვაწეობა;
5. ვინაიდან „ვარძიას“ არა აქვს ჩემპიონატის მატჩების 50 % ჩატარებული, გუნდის ყველა შედეგი გაუქმდა;
6. ახალციხის სტადიონის მესვეურები წესრიგის დაუცველობისათვის მკაცრად გააფრთხილეს.

სამწუხარო ფაქტი მოხდა, ჩემპიონატიდან ნებისმიერი გუნდის მოკვეთა უსიამოვნო ამბავია, მაგრამ ხულიგნობასა და უპატიოსნო თამაშს მუდმივად უნდა ვებრძოლოთ. ფედერაციის გადაწყვეტილება, ვიმეორებთ, ამ სიტუაციაში, ერთადერთი და სწორი იყო. „ვარძია“ სამართლიანად დაისაჯა.

*XIX ტური*

მაუდი — ვიტ ჯორჯია2 0-2

დინამო3 — თბილისი 3-3

მცხეთა — ივერია 0-1

ლიახვი — ზოოვეტი 1-0

მერანი3 — ოლიმპიკი 0-3

კრწანისი — გორდა2 2-1

ჭაბუკიანი — ალაზანი 1-0

ცხუმი — აკადემია (7.XII)



| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| მცხეთა | 17 | 13 | 2 | 2 | 38-10 | 41 |
| ალაზანი | 17 | 13 | 1 | 3 | 47-17 | 40 |
| ვიტ ჯორჯ.2 | 17 | 10 | 5 | 2 | 41-11 | 35 |
| ივერია | 17 | 10 | 2 | 5 | 44-30 | 32 |
| ცხუმი | 16 | 9 | 4 | 3 | 39-15 | 31 |
| ოლიმპიკი | 17 | 9 | 4 | 4 | 39-20 | 31 |
| ზოოვეტი | 17 | 10 | 0 | 7 | 38-23 | 30 |
| მაუდი | 18 | 9 | 3 | 6 | 23-17 | 30 |
| ჭაბუკიანი | 17 | 8 | 6 | 3 | 30-13 | 30 |
| აკადემია | 16 | 7 | 6 | 3 | 26-16 | 27 |
| მესხეთი | 17 | 8 | 1 | 8 | 24-29 | 25 |
| ლიახვი | 17 | 7 | 1 | 9 | 24-33 | 22 |
| კრწანისი | 17 | 5 | 2 | 10 | 25-40 | 17 |
| გორდა2 | 17 | 4 | 4 | 9 | 25-28 | 16 |
| თბილისი | 17 | 4 | 3 | 10 | 26-53 | 15 |
| დინამო3 (თბ) | 17 | 3 | 6 | 8 | 20-26 | 15 |
| მერანი3 | 17 | 3 | 2 | 12 | 13-47 | 11 |
| მრეტები | 17 | 0 | 5 | 12 | 17-39 | 5 |
| ჯავახი | 17 | 0 | 1 | 16 | 16-89 | 1 |

*შენიშვნა: ასპინძის „ვარძია“ მოიხსნა გათამაშებიდან, მისი შედეგები გაუქმდა, შესაბამისად შეიცვალა გათამაშების ცხრილი.*

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

### რუსეთის ფეხბურთი მელუდეებს შეეკრა

გუშინ, მოსკოვში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას რუსეთის ფეხბურთის კავშირსა და ლუდის მწარმოებელ კომპანია „სტარი მელნიკს“ შორის. მელუდეები, როგორც ოფიციალური სპონსორები, სამი წლის განმავლობაში გაუწევენ დახმარებას რუსეთის ეროვნულ საფეხბურთო ნაკრებს.

ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს ვიაჩესლავ კოლოსკოვმა და ზემოხსენებული კომპანიის მარკეტინგის დირექტორმა ტურულ არბაშმა (თურქეთი). დავძენთ, რომ რუსეთის საფეხბურთო ნაკრებს სპონსორობას უწევენ ისეთი ცნობილი კომპანიები, როგორიცაა „ნაიკი“, „კოკა-კოლა“, „ტიუმენის ნავთობი“, „ვნუკოვოს ავიახაზები“ („სიბირთან“ ერთად), ახლა კი... „სტარი მელნიკი“.

### დიდი ბრიტანეთის საუკეთესო მწვრთნელი შვედია!

ინგლისის საფეხბურთო ნაკრების მთავარი მწვრთნელი სვენ-გორან ერიქსონის სპორტულ დიდებას ახალი ტიტული შეემატა — გუშინ იგი „დიდი ბრიტანეთის წლის საუკეთესო მწვრთნელად“ დასახელდა. დაუსწრებლად ამ ტიტულს შვედ სპეციალისტს ედავებოდა მძლეოსანთა მწვრთნელი ალექს სტეტონა, რომელსაც არაერთი მაღალი რანგის სპორტსმენი აღუზრდია.



ერიქსონი

ინგლისელებმა ერიქსონი უფრო იმისთვის დააფასეს, რომ მან მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გაიყვანა ქვეყნის ნაკრები. თუნდაც ერთი ცალკე გამარჯვებაც რად ღირს, როცა პრინციპულ მატჩში ინგლისელებმა სძლიეს გერმანელებს 5-1. „ჩემთვის ეს დიდი პატივია, მით უფრო, თუ ვიტყვი, რომ მხოლოდ პირველი წელია, რაც ინგლისში ვმუშაობ“ — თქვა ერიქსონმა.

### ჰონდურასის ნაკრები ფიფას რჩეული

ფიფამ წლის საუკეთესო გუნდად დაასახელა ჰონდურასის ეროვნული ნაკრები. ეს პატივი ამ ქვეყნის ნაკრებს მიაგეს პროგრესისათვის მსოფლიო რეიტინგში. ეს სასიხარულო ამბავი ფიფამ გუშინ აუწყა ჰონდურასის ფეხბურთის ფედერაციას მისალოცი წერილით. სპეციალური პრიზი ცენტრალურ ამერიკელებს გადაეცემათ 17 დეკემბერს ციურიხში გამართულ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის დაჯილდოების ცერემონიალზე.

მიმდინარე სეზონში ჰონდურასის ნაკრებმა 43 ადგილიდან რეიტინგში გადაინაცვლა 23-ე საფეხურზე და ამერიკის თასზე დაიკავა მესამე ადგილი, გაუსწრო ა თვით ბრაზილიელებსაც კი.

# ყველა დროის ქუთაისის „ტორპედო“

**ორმოცი წლის წინათ, 1961 წლის ნოემბერში, ქართულმა ფეხბურთმა კიდევ ერთი წარმატება იზეიმა და სასახელო ფურცელი შემატა ქართული ფეხბურთის ისტორიას. ქუთაისის „ტორპედომ“ მძაფრ სპორტულ პაექრობაში — კიშინიოვში გამართულ სამთა ტურნირზე უკან ჩამოიტოვა ტალინის „კალევი“ და თბილისის „ლოკომოტივი“ — მოიპოვა „ა“ კლასის ერთადერთი საგზური, რაც იმ დროისათვის საბჭოთა კავშირის ბევრი სახელოვანი საფეხბურთო რეგიონისთვის „ცისფერ ოცნებას“ წარმოადგენდა.**

მას შემდეგ, როგორც იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა... იყო აღმასვლა, იყო ჩავარდნებიც, რომელიც, სამწუხაროდ, სხვადასხვა მიზეზთა გამო, გუნდს თან ახლდა. „ა“ კლასში გამოსვლის მთელ პერიოდში ქუთაისის „ტორპედოს“ დამარცხებული ჰყავს ასპარეზობის უკლებლივ ყველა მონაწილე. თუნდაც რად ღირს 1964 წლის სეზონში განთქმული მოსკოვის „დინამოსთან“ გამარჯვება ქუთაისში 1-0. მოსკოვში — 2-0. ასევე სეზონის უკანასკნელი კალენდარული მატჩი კიევის „დინამოსთან“, რომელიც ქუთაისელთა სენსაციური გამარჯვებით დასრულდა 1-0 მარჯვენა მცველის იუზა ლოსაბერიძის მიერ გატანილი ერთადერთი ბურთის წყალობით. ამ გამარჯვებით ქუთაისის „ტორპედომ“ ადგილი შეინარჩუნა „ა“ კლასში, ხოლო კიევის „დინამომ“ დაკარგა ქვეყნის ჩემპიონის ტიტული. ზემოაღნიშნული მატჩი ალბათ სამუდამოდ დამკვიდრდა „ტორპედოს“ საუკეთესო მატჩთა შორის და მაინც, ქართველ ავტომშენებელთა ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი დებიუტშივე მოსკოვის „ტორპედოს“ დამარცხება იყო 4-2... ქუთაისის „ტორპედოს“ სხვადასხვა დროს ავარჯიშებდა ფეხბურთის ისეთი თვალსაჩინო სპეციალისტები, როგორიც იყვნენ — უშანგი სალდაძე, დუკა რამიშვილი, ილია ლობჟანიძე, ნესტორ ჩხატარაშვილი, ანდრო ჟორდანია, ვსევოლოდ ბლინკოვი, გიგა ნორაკიძე, გივი ნოდია, ჯემალ ხერხაძე... ქუთაისის „ტორპედომ“ „ა“ კლასში გამოსვლის პირველსავე მატჩებიდან მიიპყრო ფეხბურთის მოყვარულთა ყურადღება, როგორც საკუთარი ხელწერის გუნდმა, რომელსაც ძალუძდა ნებისმიერ მოწინააღმდეგეს შერკინებოდა, მიუხედავად ტიტულოვანებისა. ქუთაისის „ტორპედოში“ ბევრი ფეხბურთელი აღიზარდა და დავაჟკაცდა. რომელთაც შემდგომში წარმატებით დაიცვეს საბჭოთა კავშირის ნაკრების ღირსება. ვფიქრობ, ფეხბურთის მოყვარულთათვის ინტერესს მოკლებული არ იქნება გაეცნოს ქუთაისის „ტორპედოს“ ყველა დროის საუკეთესო შემადგენლობის ჩემეულ ვარიანტს. მეკარე: რამაზ ურუშაძე, ***მცველები:*** იუზა ლოსაბერიძე, რევაზ ძოძუაშვილი, ედუარდ თორაძე, გურამ ცხოვრებოვი; ***ნახევარდაცვა:*** სერგო კუტივაძე და თენგიზ სულაქველიძე; ***თავდასხმა:*** ჯუმბერ ხაჟალია, ჯემალ ხერხაძე, გივი ნოდია, რამაზ შენგელია. ქუთაისის „ტორპედოს“ წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვით ასევე თბილისის დინამოდან გადასულ ფეხბურთელებს: მიხეილ მესხს, მურთაზ ხურცილავას, თენგიზ მელაშვილს, დოდიკ ხუნდაძეს, გურამ პეტრიაშვილს, ძმებს მანუჩარ და გოჩა მაჩაიძეებს და სხვებს და სხვებს. ყველა მათგანის გამოსვლას „ტორპედოში“ საგასტროლო ხასიათი ჰქონდა, ამიტომ „ტორპედოს“ ყველა დროის შემადგენლობაში მათი ჩართვა არ მიმაჩნია მიზანშეწონილად. ახლა ფეხბურთის მოყვარულთ მინდა გავახსენო თუ რით გამოირჩეოდა ქუთაისის „ტორპედოს“ ყველა დროის რჩეული 11 ფეხბურთელი.

მეკარე ***რამაზ ურუშაძე*** — შესანიშნავი ფიზიკური მონაცემების წყალობით „ტორპედოში“ გამოსვლის პირველსავე დღეებიდან მიიქცია ფეხბურთის სპეციალისტთა ყურადღება. იგი თვით ლეგენდარული მეკარის ლევ იაშინის დუბლიორად მოევლინა საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებს. რამაზ ურუშაძემ წარმატებით დაიცვა საბჭოთა კავშირის ნაკრების ღირსება იტალიისა და ურუგვაის ეროვნულ ნაკრებ გუნდებთან გამართულ მატჩში. ოლიმპიურ ნაკრებშიც გამოდიოდა ნიკიტა სიმონიანის ხელმძღვანელობით, სადაც ასევე ორ ოფიციალურ მატჩში ითამაშა. რამაზ ურუშაძე იმ გამოჩენილ მეკარეთა რიცხვშია, რომელმაც ლეგენდარულ ედუარდ სტრელცოვს აუღო 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა.



*1961 წელი. „ა“ კლასში გადასასვლელი მატჩის ერთ-ერთი ფრაგმენტი: „ტორპედო“ — ტალინის „კალევი“. ქუთაისელ ფეხბურთელთა შეტევა მოწინააღმდეგის კართან.*

***იუზა ლოსაბერიძე*** — მოიერიშე მცველი. იმ დროს, მცველებს, კატეგორიულად ეკრძალებოდათ მოედნის ცენტრის იქით გადასვლა, 1965 წლის სეზონის ბოლო მატჩში ლოსაბერიძე ნამდვილ გმირად მოევლინა ქუთაისის „ტორპედოს“. მის ღრმა რეიდს, უძლიერესი დარტყმა და გოლი მოჰყვა კიევის „დინამოს“ კარში, რომელსაც ვიქტორ ბანიკოვი იცავდა. იუზა ლოსაბერიძე გუნდის რეკორდსმენია ქუთაისის „ტორპედოში“ ჩატარებული მატჩების რაოდენობით.

***ედუარდ თორაძე*** — ენერგიული, შემტევი ფეხბურთელი, მისმა დამაჯერებელმა თამაშმა დიდად შეუწყო ხელი ქუთაისის „ტორპედოს“ „ა“ კლასში დამკვიდრებას. გუნდის პირველი კაპიტანი და ლიდერი, ფეხბურთელი, რომელმაც თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში გამოსვლის დროს ევროპის ბევრი ქვეყნის სპეციალისტთა მოწონება დაიმსახურა.

***გურამ ცხოვრებოვი*** — კარგად მოერგო ქუთაისელთა ახალბედა კოლექტივს. გაუვალ „ციხე-სიმაგრედ“ მოევლინა მოწინააღმდეგეს. სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა მისი თბილისის „დინამოში“ გადაყვანა, ხოლო შემდგომ მიწვევა საბჭოთა კავშირის ნაკრებში, სადაც 7 მატჩი ჩაატარა.

***სერგო კუტივაძე*** — ქუთაისის „ტორპედოს“ ახალგაზრდა დირიჟორის როლში მოევლინა. უაღრესად ტექნიკურმა, საჯარიმო დარტყმათა შესრულების უბადლო ოსტატმა, საყოველთაო აღიარება მოიპოვა, რასაც საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა საკლუბო ნაკრებში მიწვევა მოჰყვა. ბრაზილიაში მან ითამაშა მინასჯერაისის შტატის წინააღმდეგ გამართულ მატჩში. სერგო კუტივაძის თბილისის „დინამოში“ გადაყვანის შემდეგ, „ტორპედო“, როგორც იტყვიან, სულს ღაფავდა, რასაც მოჰყვა კიდეც „ა“ კლასის დატოვება — შემცვლელი მოთამაშის პოვნა „ტორპედომ“ ვერა და ვერ შეძლო.



რამაზ შენგელია (მუქ მაისურში)

***თენგიზ სულაქველიძე*** — ძალისმიერი ტიპის ამ ფეხბურთელმა, დიდად შეუწყო ხელი „ტორპედოს“ წარმატებას. თბილისის „დინამოში“ გადაყვანის შემდეგ, იგი საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებშიც მიიწვიეს, სადაც ესპანეთის 1982 წლის ჩემპიონატზე 4 მატჩი ითამაშა ბრაზილიის, ახალი ზელანდიის, შოტლანდიისა და პოლონეთის გუნდებთან. საბჭოთა ნაკრების არგენტინაში გამოსვლის დროს თენგიზ სულაქველიძეს თვით ლეგენდარული დიეგო მარადონას მეურვეობა ჰქონდა დაკისრებული, რასაც მან თავი, ასე თუ ისე, გაართვა.

***ჯუმბერ ხაჟალია*** — ქუთაისის „ტორპედოს“ ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი. მის ორიგინალურ თვითმყოფად თამაშის სტილს, ბევრი სახელოვანი მცველი ჩაუგდია საგონებელში. თუნდაც რად ღირს, რომ მის წინააღმდეგ ისეთ საყოველთაოდ აღიარებულ მცველებს უჭირდათ თამაში, როგორიც საბჭოთა კავშირის ნაკრების დაცვის ბურჯი ალბერტ შესტერნევი გახლდათ.

***ჯემალ ხერხაძე*** — გუნდის ბომბარდირი, „ტორპედოს“ შეტევათა სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი. იყო ქუთაისის „ტორპედოს“ კაპიტანი და მისი მწვრთნელიც. ორიგინალური ხელწერის უაღრესად ტექნიკური ფეხბურთელი. მიწვეული იყო სსრ კავშირის ოლიმპიურ ნაკრებში.

***გივი ნოდია*** — ტაქტიკური ალღოთი დაჯილდოვებული ფეხბურთელი, რამაც ასახვა ჰპოვა მის შედეგიანობაზე. ამ და სხვა გარემოებათა გამო, იგი გადაიყვანეს თბილისის „დინამოში“. შემდეგ საბჭოთა კავშირის ნაკრებშიც ითამაშა. მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატზე 1970 წელს შესარჩევ ეტაპზე გივი ნოდიამ ჩაატარა სამი მატჩი — გაიტანა 2 გოლი. ფინალურ ეტაპზე საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში ითამაშა მექსიკის ნაკრების წინააღმდეგ.

***რამაზ შენგელია*** — გოლის გატანის უტყუარი ალღოთი დაჯილდოებული ფეხბურთელი. რამაზ შენგელიას მაღალ შეფასებას აძლევდა ისეთი გამოჩენილი ფეხბურთის სპეციალისტი, როგორიც მიხეილ იაკუშინი იყო. 1982 წლის ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატზე რამაზ შენგელიამ 5 მატჩი გამართა და გაიტანა 1 გოლი. 1979 წლის სეზონის შედეგებით რამაზ შენგელია დაასახელეს საბჭოთა კავშირის №1 ფეხბურთელად.

***რევაზ ძოძუაშვილი*** — ბევრმა შესაძლოა არც იცის, რომ ამ ფეხბურთელმა კარიერა თავდასხმაში დაიწყო, შემდეგ დაცვის ბურჯად მოევლინა ქუთაისის „ტორპედოს“, მერე ისევ თბილისის „დინამოს“, სოხუმის „დინამოს“, საბჭოთა კავშირის ნაკრებს. რევაზ ძოძუაშვილს საყოველთაო აღიარება მოუტანა მსოფლიოს ერთ-ერთი გამოჩენილი ფეხბუთელის, ჯორჯ ბესტის ნეიტრალიზებამ.

**დემურ ტორაძე**



მურად წიწვიაძე — ტორპედოელთა მთავარი მწვრთნელი



*1981 წ. ქუთაისის „ტორპედო“ კვლავ უმაღლესი ლიგის ბინადარია...*

# ჩემპიონთა ლიგა

## მეორე ჯგუფური ეტაპი (II ტური)







## A ჯგუფი

### მანჩესტერი – ბოავიშტა 3-0

***მანჩესტერი:*** ბარტეზი, ფ. ნევილი (ოში 77), გ. ნევილი, ბლანი, ბატი, კინი, სქოულზი (ფორჩუნი 85), სილვესტრი, ვერონი, იორკი, ვან ნისტელროი (სოლსკიაერი 88).

***ბოავიშტა:*** რიკარდო, ტურა, და სილვა, დე ლიმა, პინტუ (სილვა 61), დუდა, პერეირა (დოს სანტოსი 58), ფრეშო, გონსალვეში, გულარტი, სანჩესი (სანტუში 69).

***გოლები:*** ვან ნისტელროი (31), ბლანი (55), ვან ნისტელროი (62).

ანგარიში გაიხსნა 31-ე წუთზე, როცა ვერონის გადაცემის შემდეგ ვან ნისტელროი გავიდა პირისპირ და არავითარი შანსი არ დაუტოვა რიკარდოს. 55-ე წუთზე ვერონის მიერ მოწოდებული კუთხურიდან ბლანი თავური დარტყმით ზრდის ანგარიშს. ხოლო 62-ე წუთზე იორკის გადაცემით ვან ნისტელროი აფიქსირებს საბოლოო ანგარიშს.

### ნანტი – ბაიერნი 0-1

***ნანტი:*** ლანდრო, ფაბრი, ლასპალი, ჟილე, და როშა, ბერსონი, აჰამადა (მოლდოვანი 63), ქვინტი, არმანდი, ზიანი (ანდრე 77), დევინო (ოლემბე 59).

***ბაიერნი:*** ვესელსი, სანიოლი, ლიზარაზიუ, კუფური, ნ. კოვაჩი, რ. კოვაჩი, პაულო სერჟიო, პიზარო (ელბერი 71), ფინკი, იანკერი (ციკლერი 83), ჰარგრეივსი (სფორცა 68).

***გოლი:*** პაულო სერჟიო (65)

ამ შეხვედრაში ერთადერთი ბურთი ჰარგრეივსის მიერ მოწოდებული კუთხურიდან გაიტანა პაულო სერჟიომ. ამის შემდეგ ფრანგებს ჰქონდათ ანგარიშის გათანაბრების მრავალი შესაძლებლობა, მაგრამ ლასპალისა და მოლდოვანის დარტყმები სცდებოდა გერმანელთა კარს, რომელსაც იცავდა ახალგაზრდა ვესელსი. საბოლოოდ ფრანგები მეორედ დამარცხდნენ მეორე ჯგუფურ ეტაპზე და ისევე როგორც თავის ჩემპიონატში, ასევე ამ ჯგუფში „ნანტი“ ბოლო ადგილზეა.

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-1 | 4 |
| ბაიერნი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| ბოავიშტა | 2 | 1 | 0 | 1 | 1-3 | 3 |
| ნანტი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-2 | 0 |

## B ჯგუფი

### რომა – ლივერპული 0-0

***რომა:*** ანტონიოლი, ალდაირი, სამუელი, ძებინა, კანდელა, გიგუ (ასუნსაო 46), ლიმა, ტომაზი (ფუზერი 78), ემერსონი, ტოტი, ბატისტუტა.

***ლივერპული:*** დუდეკი, ანშო, ჰიუპია, კარაგერი, რიისე, ჰამანი, შმიცერი (მაკალისტერი 63), მერფი (ბერგერი, 61), ჯერარდი (ბისკანი 84), ჰესკი, ოუენი.

ეს გუნდები ერთმანეთს 1984 წლის ჩემპიონთა თასის ფინალში შეხვდნენ და მაშინ 11-მეტრიანი დარტყმებით იმარჯვეს ინგლისელებმა. შარშან კი უეფას თასზე ისევ ინგლისელებმა გაიმარჯვეს.

ამ შეხვედრის პირველ ნახევარში უპირატესობას ინგლისელები ფლობდნენ, მაგრამ უშედეგოდ. მეორე ნახევარში „რომას“ ურუგვაელი ლეგიონერის გიგუს ნაცვლად მოედანზე ასუნსაოს შემოსვლამ იტალიელთა თამაში ოდნავ გამოაცოცხლა, მაგრამ აშკარა სახიფათო მომენტები არც ერთ კართან არ შექმნილა, საბოლოოდ ფრე 0-0.

### ბარსელონა – გალათასარაი 2-2

***ბარსელონა:*** ბონანო, ანდერსონი, კრისტანვალი, კოკო, პუიოლი, ხავი (ჯერარდი 46), როშემბაკი (ოვერმარსი 46), კოკუ, რივალდო, სავიოლა, კლიუვერტი.

***გალათასარაი:*** მონდრაგონი, ბიულენტ ქორქმაზი, ემრე ასიკი, ბიულენტ აკინი (სერგენი 85), პერესი, აკმანი (სუატ კაია 51), კაპონე, ფლერკვინი, ჰაკანი უნსალი, კარანი, ერგიუნი.

***გოლები:*** 0-1 კარანი (5), 0-2 ფლერკვინი (41), 1-2 სავიოლა (49), 2-2 სავიოლა (66).

არგენტინელმა თავდამსხმელმა სავიოლამ შეძლო მეორე ნახევარში „დუბლის“ შესრულება და ამით იხსნა „ბარსა“ დამარცხებისგან. შეხვედრის მე-5 წუთზე ერგიუნის გადაცემით, კარანი ხსნის ანგარიშს, ხოლო პირველი ნახევრის დასასრულს ფლერკვინი ზრდის ანგარიშს 2-0-მდე. მეორე ნახევარში კი, როგორც აღვნიშნეთ, თავი გამოიჩინა ხავიერ სავიოლამ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 2 | 1 | 1 | 0 | 5-3 | 4 |
| გალათასარაი | 2 | 0 | 2 | 0 | 3-3 | 2 |
| რომა | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| ლივერპული | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |




## C ჯგუფი

### რეალი – პანათინაიკოსი 3-0

***რეალი:*** კასილიასი, მიჩელ სალგადო, რობერტო კარლოსი (სოლარი 77), იერო (კარანკა 52), პავონი, ელგერა, სელადესი, ზიდანი, რაული, ფიგუ, მორიენტესი (მუნიტისი 86).

***პანათინაიკოსი:*** ნიკოპოლიდისი, სეიტარიდისი, კირგიაკოსი, ჰენრიკსენი, გუმასი, ფისასი, მიჰაელსენი (კარაგუნისი, 46), პაულო სოუზა (ბოატენგი 46), ბასინასი, ოლისადებე, კონსტანტინუ (ვლაოვიჩი 70).

***გოლები:*** ელგერა (41), რაული (66), რაული (72).

ამ შეხვედრაში აშკარა იყო მადრიდელთა უპირატესობა. მე-11 წუთზე ზიდანის დარტყმა ოდნავ სცდება ბერძნების კარს, ამის შემდეგ კარის აღების შესაძლებლობა ჰქონდათ მორიენტესს, რაულს, ფიგუს. შეხვედრის 41-ე წუთზე ზიდანის მშვენიერი გადაცემის შემდეგ, ელგერა ხსნის ანგარიშს. მეორე ნახევრის დასაწყისში ორი მომენტი ვერ გამოიყენა ოლისადებემ. შეხვედრის 66-ე და 72-ე წუთებზე რაულს გააქვს ორი ბურთი და აფიქსირებს ამ შეხვედრის საბოლოო შედეგს 3-0

### პორტუ – სპარტა 0-1

***პორტუ:*** პაულუ სანტოსი, კარვალო, პარადესი, იბარა (კანდიდო 76), ანდრანდე, დეკო, სოდერსტრიომი, ნუნუ კაპუჩო, კლეიტონი (პოსტიგა 73), მარიო სილვა, პენა (პაულო კოშტა 46).

***სპარტა:*** ჩეჰი, ლაბანტი, ჰაშეკი (ზელენკა 90), ფლახბარტი, ნოვოტნი, ჰიუბშმანი, მიჰალიკი, იაროსიკი, სიონკო (პაპუსეკი 83), კინცლი, ჰარტიგი (გოლუბი 90).

***გოლი:*** სიონკო.

„პორტო“ მთელი შეხვედრის მანძილზე ფლობდა უპირატესობას, მაგრამ „სპარტა“, რომელსაც მთელი ყურადღება დაცვაზე ჰქონდა გადატანილი, კონტრშეტევებით პასუხობდა და ერთ-ერთი ასეთი კონტრშეტევის დროს სიონკომ გაიტანა გამარჯვების გოლი. ამის შემდეგ „პორტუს“ მრავალი მომენტი ჰქონდა ანგარიშის გასათანაბრებლად, მაგრამ ბურთი ხან სცდებოდა „სპარტას“ კარს, ხან მეკარე იგერიებდა (რომელმაც ბრწყინვალედ ჩაატარა ეს შეხვედრა), ხან კი კარის ძელი. საბოლოოდ 1-0 და „სპარტას“ მოულოდნელი გამარჯვება. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამ შეხვედრის მსაჯი იყო რუსი ნიკოლაი ლევნიკოვი, რომელიც ასაკის გამო მსაჯობდა ბოლო საერთშორისო შეხვედრას.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 2 | 2 | 0 | 0 | 6-2 | 6 |
| სპარტა | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| პორტუ | 2 | 0 | 1 | 1 | 0-1 | 1 |
| პანათინაიკ. | 2 | 0 | 1 | 1 | )-3 | 1 |

## D ჯგუფი

### არსენალი – იუვენტუსი 3-1

***არსენალი:*** ტეილორი, აპსონი, კემპბელი, კოული (კიოუნი 90), ლორენი, პარლორი, ვიეირა, ლიუნგბერგი, პირესი, კანუ (ბერგკამპი 69), ანრი (გრიმანდი 84).

***იუვენტუსი:*** ბუფონი, პესოტო (პარამატი 78), ტუდორი (დავიდსი 21), მონტერო, ტიურამი, ბირინდელი, ტაკინარდი, ძამბროტა, ნედვედი (ამორუზო (71), დელ პიერო, ტრეზეგე.

***გოლები:*** 1-0 ლიუნგბერგი (21), ანრი (28), 2-1 ტეილორი (49 საკ. კარში), 3-1 ლიუნგბერგი (88).

შეხვედრის პირველი ოცი წუთი მიმდინარეობდა სტუმრების უპირატესობით. მე-5 წუთზე დელ პიეროს დარტყმა მოიგერია ინგლისელთა ახალგაზრდა მეკარემ სტიუარტ ტეილორმა. მე-16 წუთზე დელ პიერომ ქუსლით დაუგორა ნედვედს, მაგრამ მისი დარტყმა მოიგერია ტეილორმა. 21-ე წუთზე ვიერას დარტყმა უხეიროდ მოიგერია ბუფონმა, დამატებაზე ყველას დაასწრო ლიუნგბერგმა და გახსნა ანგარიში. 28-ე წუთზე იტალიელთა კარში ინიშნება საჯარიმო, რომელიც ბრწყინვალედ გამოიყენა ტიერი ანრიმ. მეორე ნახევრის დასაწყისში იტალიელებმა შეუტიეს და 49-ე წუთზე ტრეზეგეს დარტყმის შემდეგ ერთ-ერთ მცველს ბურთი გამოაქვს კარის ხაზიდან, მაგრამ უკუგდებული ბურთი ხვდება ინგლისელთა მეკარეს და შედის კარში. შეხვედრის დასასრულს დიდებულად თამაშობს შეცვლაზე შემოსული ბერგკამპი, რომელმაც ჩამოიტოვა ორი მცველი და პირისპირ გაიყვანა ლიუნგბერგი, რომელმაც „დუბლი“ შეასრულა ამ მატჩში, საბოლოოდ „არსენალის“ დამსახურებული გამარჯვება 3-1.




### ბაიერი – დეპორტივო 3-0

***ბაიერი:*** ბუტი, ჟივკოვიჩი, ლუსიო, ნოვოტნი, პლასენტე, შნაიდერი, რამელოვი, ბალაკი (ვრანიესი 87), ზე რობერტო, კირსტენი (ბასტურკი 76), ნოივილი (ბერბატოვი 86).

***დეპორტივო:*** მოლინა, ექტორი, ნაიბეტი, დონატო, რომერო, მაურო სილვა, ემერსონი, ფრანი (ამავისკა 59), სკალონი (ჯალმინია 71), ვალერონი (ტრისტანი 76), მაკაი.

***გოლები:*** ზე რობერტო (64), ნოივილი (67), ბალაკი (79).

შეხვედრის პირველ ნახევარში, ისევე როგორც მთელ მატჩში, აშკარა იყო მასპინძელთა უპირატესობა, მაგრამ პირველ ნახევარში ანგარიში არ გახსნილა. მეორე ნახევრის 64-ე წუთზე ზე რობერტომ ბრწყინვალედ შეასრულა საჯარიმო დარტყმა და წინ გაიყვანა მასპინძლები. სამიოდე წუთში რამელოვის გადაცემის შემდეგ, ნოივილი ზრდის ანგარიშს, ხოლო 79-ე წუთზე კუთხურის მოწოდების შემდეგ, ცდება ესპანელთა მეკარე მოლინა და ბალაკს გააქვს მესამე ბურთი.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-3 | 3 |
| არსენალი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| ბაიერი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-4 | 3 |
| დეპორტივო | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |















# უეფას თასი



დორტმუნდი – კოპენჰაგენი



როდა – ბორდო

### ლოკომოტივი (რუსეთი) – ჰ ა პ ო ე ლ ი (ისრაელი) 0-1

***ლოკომოტივი:*** ნიგმატულინი, ნიჟეგოროდოვი, იგნაშევიჩი, სენიკოვი, ვუჩიჩევიჩი, მამინოვი, იზმაილოვი, სარქისიანი (ობიორა 61), პიმენოვი, ლოსკოვი, ბუზნიკინი.

***ჰაპოელი:*** ელიმელეხი, ბაჩარი, გერშონი, დომბი, ანტები, ჰალმაი, ონიშენკო, პიშონტი, ტაუმა (ჰილელი 90), ოსტერცი, კლეშჩენკო (ბალილი 75).

***გოლი:*** ოსტერცი (48).

### ბორუსია (დორტმუნდი) – კოპენჰაგენი (დანია) 1-0

***ბორუსია:*** ლემანი, ევანილსონი, ვიორნსი, მეტცელდერი, დედე, ოლისე, როსიცკი, ჰაინრიხი (როიტერი 77), სორენსენი, ჰერლიხი (ბობიჩი 77), რიკენი (სტევიჩი 86).

***კოპენჰაგენი:*** კილსტედტი, რიტერი, ლაურსენი, მადსენი (სვენსონი 50), იენსენი, ბისგორდი, ლონსტედპი, როლი, კრისტიანსენი (ფრედგარდი 66), ზუმა, ფერნანდესი (ვესტი 86).

***გოლი:*** სორენსენი (89).

### როდა (ჰოლანდია) – ბორდო (საფრანგეთი) 2-0

***როდა:*** კალაცი, სენდენი, კრედე, ლუიპერსი, სონკაი, ვან დიიკი, ვან დესელი, ლავალი (ვან დერ ლური 83). ნიუგარდი (ვიჩელიჩი 90), ანასტასიუ, ბერგლუნდი (ზაფარინი 67).

***ბორდო:*** რამე, ქემალი, სომეილი, ბასტო (მირანდა 90), სმერტინი, აფანუ, დორასო, კოშტა (სანჩესი 85), ბატლესი, კრისტიანი, პაულეტა.

***გოლები:*** ანასტასიუ (56), ლავალი (65).



ლოკომოტივი – ჰაპოელი



## ფეხბურთის ვარსკვლავები

# ვლადისლავ მაზურკევიჩი

პოლონური წარმოშობის ურუგვაის ყველა დროის საუკეთესო მეკარე ვლადისლავ მაზურკევიჩი საფეხბურთო სამყარომ გაიცნო 1966 წლის ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატის გახსნის მატჩზე, სადაც ერთმანეთის პირისპირ დადგნენ ინგლისისა და ურუგვაის ეროვნული ნაკრები გუნდები. ეს შეხვედრა ნულოვანი ფრეთი აღინიშნა. მეტოქეთა კარს იცავდნენ შემდგომში ლეგენდარული მეკარეები ბენქსი და მაზურკევიჩი. მომდევნო შეხვედრაში ურუგვაელებმა სძლიეს საფრანგეთის ნაკრებს 2-1. ამ მატჩში ურუგვაელთა გამარჯვება განაპირობა მათი მეკარის ბრწყინვალე თამაშმა. შემდგომ მატჩში მაზურკევიჩმა მექსიკის ნაკრების წინააღმდეგ ითამაშა, რომლის რიგებშიც ასევე ლეგენდარული კარბახალი იდგა — ეს შეხვედრაც ფრედ — 0-0 დამთავრდა, რითაც ურუგვაელებმა, ინგლისელებთან ერთად, ასპარეზობის შემდგომ ეტაპზე გასვლის უფლება მოიპოვეს.

მეოთხედფინალში, ურუგვაელების გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძლიერ გუნდთან დიდი ანგარიშით 0-4 დამარცხების მიუხედავად, მეკარის მიმართ არავის არავითარი პრეტენზია არ ჰქონდა. „რომ არა მაზურკევიჩი, ანგარიში გაცილებით დიდი იქნებოდაო“ — აღნიშნავდნენ სპეციალისტები.

მექსიკის 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატზეც ისახელა თავი მაზურკევიჩმა. წინასწარ შეხვედრებში, ისრაელისა და იტალიის წინააღმდეგ მას ბურთი არ გაუშვია. შვედებთან გამართულ მესამე მატჩში ურუგვაელები დამარცხდნენ მინიმალური ანგარიშით 0-1 და ის ერთადერთი ბურთი შეხვედრის უკანასკნელ 90-ე წუთზე გაიტანა გრანიმ მაზურკევიჩის კარში.

მეოთხედფინალში ურუგვაელები სსრ კავშირის ნაკრებს დაუპირისპირდნენ. მატჩის ძირითადი დრო ნულოვანი ფრეთი აღინიშნა. დამატებით დროში, საბჭოთა ნაკრების დაცვის ხაზში დაშვებული უხეში შეცდომით ესპარაგომ შეძლო გადამწყვეტი გოლის გატანა და ურუგვაელებს სანუკვარი გამარჯვებაც მოუტანა — 1-0. ეს მატჩი დღემდე კარგად ახსოვს ქართველ მაყურებელსაც. რადგან ნაკრებში მონაწილეობდა ოთხი ქართველი ფეხბურთელი — მეკარე ანზორ კავაზაშვილი, მცველები რევაზ ძოძუაშვილი და მურთაზ ხურცილავა, ნახევარდაცვაში კახი ასათიანი, რომელიც მატჩის 83-ე წუთზე შეცვალა ნიკოლაი კისელიოვმა.

ნახევარფინალში ურუგვაელებს შერკინება მოუხდათ მსოფლიოს მომავალ ჩემპიონ, ბრაზილიის ნაკრებთან და მიუხედავად მედგარი წინააღმდეგობისა, მაინც დამარცხდა — 1-3. გოლები მაზურკევიჩის კარში გაიტანეს ბრაზილიური ფეხბურთის აღიარებულმა ვარსკვლავებმა კლოდოალდომ, ჟაირზინიომ და რიველინომ. მესამე ადგილისათვის პაექრობაში ურუგვაელები ასევე მინიმალური ანგარიშით 0-1 დამარცხდნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებთან. მიუხედავად ზედიზედ ორი დამარცხებისა, მაზურკევიჩის თამაშის კლასით მოხიბლული დარჩა საფეხბურთო სამყარო და მან სამართლიანად დაიმსახურა მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მეკარის სახელი.

1974 წელს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზეც მიიღო მონაწილეობა ვლადისლავ მაზურკევიჩმა. სიუხედავად ურუგვაელთა წარუმატებელი გამოსვლისა, მეკარისთვის არავის დაუბრალებია მსოფლიოს ორგზის ჩემპიონთა „ფიასკო“. ვლადისლავ მაზურკევიჩის დიდი დამსახურება საფეხბურთო სამყაროს წინაშე აღინიშნა იმით, რომ 1971 წლის 29 მაისს იგი ჩეხ მეკარე ვიქტორთან ერთად, იცავდა ფიფას ნაკრების ღირსებას მოსკოვში ლუჟნიკების სტადიონზე გამართულ ლევ იაშინის გამოსათხოვარ მატჩში, რომელიც ფრედ 2-2 დასრულდა. ამ შეხვედრაში ვლადისლავ მაზურკევიჩმა საბოს მიერ შორიდან დარტყმული ბურთი გაუშვა, რაც დიდ მოულოდნელობად მიიჩნიეს. სამოც-სამოცდაათიან წლებში თბილისის „დინამოს“ ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარემ სერგო კოტრიკაძემ შეკითხვაზე, დაესახელებინა მსოფლიოს სამი საუკეთესო მეკარე, ლევ იაშინის შემდეგ ვლადისლავ მაზურკევიჩი მოიხსენია, ხოლო მესამე ადგილი თავის მასწავლებელ ვლადიმერ მარღანიას არგუნა.





1966 წ. მსოფლიო ჩემპიონატი. გფრ – ურუგვაი. გერმანელი ფორვარდის უძლიერესი დარტყმა მაზურკევიჩმა კუთხურზე მოიგერია.

მსოფლიოს მე-9 ჩემპიონატის შედეგების მიხედვით, იდეალური ნაკრების შედგენისას ვლადისლავ მაზურკევიჩს მხოლოდ ინგლისელთა მეკარე გორდონ ბენქსმა აჯობა, თუმცა ამ ჩემპიონატის დამსწრე ქართველმა სპეციალისტებმა და ჟურნალისტებმა, გაზეთ „ლელოს“ მაშინდელი რედაქტორის მიხეილ კაკაბაძის თაოსნობით, შედგენილ სამყაროს იდეალურ ნაკრებში მეკარეთა შორის პირველ ნომრად სწორედ ვლადისლავ მაზურკევიჩი დაასახელეს. ნება მიბოძეთ აქვე მაზურკევიჩთან ერთად მოვიხსენიო იდეალური ნაკრების სრული შემადგენლობა: მცველები — კარლოს ალბერტო, მური, შნელინგერი, კუპერი, ***ნახევარდაცვა*** — ოვერატი, ბეკენბაუერი, გერსონი, ***თავდასხმა*** — ჟაირზინიო, პელე, რიველინო.

**დემურ ტორაძე**

## ჩემპიონატები, მატჩები, შედეგები...

### ინგლისი

(გადადებული მატჩები)

ჩელსი — ჩარლტონი 0-1
ვესტ ჰემი — ასტონ ვილა 1-1

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლივერპული | 13 | 9 | 2 | 2 | 23-11 | 29 |
| არსენალი | 14 | 7 | 5 | 2 | 30-15 | 26 |
| ლიდსი | 14 | 6 | 7 | 1 | 16-8 | 25 |
| ნიუკასლი | 14 | 7 | 3 | 4 | 24-18 | 24 |
| ასტონ ვილა | 15 | 6 | 6 | 3 | 19-15 | 24 |
| ჩელსი | 15 | 5 | 8 | 2 | 19-12 | 23 |
| მანჩესტერი | 14 | 6 | 3 | 5 | 31-26 | 21 |
| ტოტენჰემი | 14 | 6 | 3 | 5 | 21-18 | 21 |
| ევერტონი | 14 | 5 | 5 | 4 | 20-17 | 20 |
| ბოლტონი | 14 | 5 | 5 | 4 | 18-17 | 20 |
| ბლექბერნი | 15 | 4 | 7 | 4 | 21-17 | 19 |
| ფულემი | 14 | 4 | 7 | 3 | 15-13 | 19 |
| სანდერლენ. | 15 | 5 | 4 | 6 | 13-15 | 19 |
| მიდლსბრო | 15 | 5 | 4 | 6 | 17-20 | 19 |
| ჩარლტონი | 15 | 4 | 6 | 5 | 18-19 | 18 |
| ვესტ ჰემი | 15 | 4 | 4 | 7 | 17-28 | 16 |
| ლესტერი | 15 | 3 | 4 | 8 | 9-25 | 13 |
| საუთჰემპტ. | 14 | 3 | 1 | 10 | 11-24 | 10 |
| დერბი | 14 | 2 | 4 | 8 | 10-24 | 10 |
| იფსვიჩი | 15 | 1 | 6 | 8 | 14-24 | 9 |

*სურათზე: ჩელსისა და ჩარლტონის მატჩის ერთ-ერთი ფრაგმენტი*

## კრესპო ფეხბურთ დაცვას გეგმავს





ერნან კრესპო

რომის „ლაციოს“ ფეხბურთელმა, არგენტინელმა ერნან კრესპომ უცნაური სურვილი გამოთქვა – იგი მზადაა სათავეში ჩაუდგეს გაფიცვას, რომლის მიზანია პროტესტი ნადროლონის მოხმარებისთვის დისკვალიფიკაციის წინააღმდეგ ფეხბურთელებში.

როგორც „ლაციოს“ ფეხბურთელი აცხადებს: „ხშირად დოპინგის მიღების ბრალდების მსხვერპლნი ხდებიან უდანაშაულო მოთამაშეები. ამ საკითხში სრული სიცხადის შეტანაა აუცილებელი, თუ ეს არ მოხდება, ჩვენ არ ვითამაშებთ“. კრესპოს მაგალითებიც მოჰყავს, როცა ტყუილუბრალოდ დაისაჯნენ მისი თანაგუნდელები პორტუგალიელი ფერნანდო კოუტუ და ჰოლანდიელი იაპ სტამი, აგრეთვე ესპანელი ხოსეპ გვარდიოლა „ბრეშადან“, ნიდერლანდელი ედგარ დავიდსი „იუვენტუსიდან“ და იტალიელი სტეფანო ტორიზი“.

„ახლა, – აცხადებს არგენტინელი ფეხბურთელი სერია „ა“ მოიცვა შიშმა. ფეხბურთელები გრძნობენ, რომ დაუცველები არიან და მათ თავის მართლებას იტალიის სპორტული ტრიბუნალი ყურად არ იღებს. ამასთან, არავინ იძლევა განმარტებით ინფორმაციას ნადროლონის შემადგენლობაზე, რომელიც ნარკოტიკების ნუსხაში გადის“ – დასძენს კრესპო.

# მიუჯდება თუ არა პროსტი საჭეს?

ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ (ფია) „პროსტის" გუნდი შეიტანა „ფორმულა 1"-ის კლასის მანქანებში მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილეთა წინასწარ სიაში.

შეგახსენებთ, რომ გასულ თვეში „პროსტ-ოსერის" გუნდი ბანკროტად გამოცხადდა. მიუხედავად ამისა, ფია-მ დაადასტურა, რომ „პროსტი" მიიღებს მონაწილეობას მსოფლიო ჩემპიონატში. პილოტთა შემადგენლობა ჯერ არ გამოცხადებულა და არც ისაა ცნობილი თუ როდის გამოცხადდება. ყოველ შემთხვევაში, ეს უნდა მოხდეს 2002 წლის 28 თებერვლის 14 საათამდე.




პილოტების გარდა, „პროსტოსერს" ჯერ არც ტიტულოვანი სპონსორი ჰყავს, გაზარკვევია ისიც, თუ ვინ მიაწვდის ძრავებს, არ არის ფულიც, მაგრამ არის დიდი ოპტიმიზმი, რომელიც ყოველთვის როდია საკმარისი პრობლემების მოსაგვარებლად. ახლა იხსენებენ იმასაც, რომ შარშან ანალოგიურ ვითარებაში აღმოჩნდა „მინარდი", მაგრამ გამოჩნდა „კეთილი ძია" და გუნდი კრიზისიდან გამოძვრა.

ახლა ლეგენდარული მრბოლის მთავარი ამოცანა 30 მილიონი ვალის დაფარვაა და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ფიქრი ახალი სეზონისთვის მზადებაზე.



თუ სპორტული ცეკვები მართლა შეიტანეს ოლიმპიადის პროგრამაში, თბილისის „თელას" ნორჩების ეს წყვილი უთუოდ დაიცავს საქართველოს ღირსებას

## ტარპიშევის სახელი რუსეთის რუკაზე

რუსული ჩოგბურთის სიამაყის შამილ ტარპიშევის სახელი ამიერიდან რუსეთის რუკაზე გახდება უკვდავი. მისი სახელი მიეკუთვნა ტბორს, რომელიც კაშხალის აგების შემდეგ წარმოიქმნა მორდოვეთის ერთ-ერთ სოფელში. ეს ადგილი ადგილობრივ და მეზობელი დასახლებების კულტურის ცენტრად გადაიქცევა.




## პროფესიული კრივის სამყაროში

## ტიტული დაიცვა



50,7 კგ წონით კატეგორიაში ვბც-ს ვერსიით პროფესიონალ მოკრივეთა შორის, მსოფლიო ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნა ტაილანდელმა მოკრივემ პ. ფონონკაბმა, რომელმაც მეორე რაუნდში სძლია არგენტინელ ლ. ლასარტეს. ლასარტე მეტოქის დარტყმისგან დაეცა, მაგრამ მალე წამოდგა, თუმცა ვიდრე რეფერი ითვლიდა, ფეხზე ვერ გაძლო.

აზიელმა უკვე მესამედ დაიცვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული.

## ბრიჯიტ ბარდო გააწბილეს

ცნობილი კინოვარსკვლავი და შინაურ ცხოველთა დაცვის საფრანგეთის ფონდის ხელმძღვანელი ბრიჯიტ ბარდო გაწბილებული დარჩა იმით, რომ სამხრეთ კორეიის ფეხბურთის ფედერაციამ არ დართო ნება ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში სტადიონებზე კორეასა და იაპონიაში გაევრცელებინა ფურცლები კორეელებისადმი მოწოდებით „ნუ ჭამენ ძაღლის ხორცს".

ცნობილია, რომ კორეაში ძაღლის ხორცს სიამოვნებით მიირთმევენ, ამასთან, ხორცის დარბილების მიზნით ძაღლებს უმოწყალოდ სცემენ რეგულარულად. სწორედ ეს იწვევს დასავლეთში ცხოველთა დამცველების აღშფოთებას.



„თუ სტადიონებზე აგვიკრძალავთ აქციას, ფურცლებს გავავრცელებთ ჩემპიონატის მონაწილე ქვეყნების გუნდებში" — არ ნებდება ბრიჯიტ ბარდო. ამასთან, გაავრცელებენ ვიდეოკასეტებსაც, რომელზედაც ასახული იქნება თუ როგორ გამოჰყავთ და აწამებენ საკვებ ძაღლებს.

ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა, ამას წინათ მოუწოდა კორეელებს „ნუ შეილახავენ იმიჯს მსოფლიოს თვალში" და შეწყვიტონ შინაურ ცხოველთა წამება. ამ მოწოდებაზე ფიფას ვიცე-პრეზიდენტმა ჩონ გუნ ჩეუნმა თავის უშუალო უფროსს რბილად გადაჰკრა „ძაღლები არ არის ფიფას საქმე".

თავად კორეელები თვლიან, რომ ძაღლის ხორცი ძალიან სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის და სულაც არ აპირებენ ტრადიციების დათმობას.

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**7 დეკემბერი, პარასკევი**

***საქართველოს ტელევიზია. ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი" (10.45, 22.40), ***EUROSPORT.*** ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი (12.30, 14.30, 15.30, 16.30, 22.00, 3.15). მსოფლიოს უძლიერესი ადამიანი. გრან-პრი (0.00), ***НТВ плюс футбол.*** ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა (20.05), მსოფლიო ფეხბურთი (21.45), ჰოლანდიის ჩემპიონატი (22.45, 0.30), ***НТВ плюс спорт.*** კალათბურთი: ნბა-ს მიმოხილვა (11.45), ევროლიგა (12.15), ხელბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი, ქალები (15.00), ტაილანდური კრივი (18.00), ჭადრაკი. კასპაროვ-კრამნიკის მატჩი (23.15).

**8 დეკემბერი, შაბათი**

***საქართველოს ტელევიზია, რუსთავი-2.*** ჩემპიონთა ლიგის საკვირაო მიმოხილვა (19.00), ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი" (23.40), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (20.00), ***EUROSPORT.*** ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი (12.30, 13.30, 15.00, 15.30, 17.00, 21.00, 21.45), ცხენოსნობა. მსოფლიო თასი (22.30), ***НТВ плюс футбол.*** ჩემპიონთა ლიგა: „რეალი" – „პანათინაიკოსი" (14.00), „ბარსელონა" – „გალატასარაი" (16.15); გერმანიის (18.25), ინგლისის (20.20), იტალიის (23.25) ჩემპიონატები. ჩემპიონთა ლიგის მეორე ეტაპის მეორე ტურის მიმოხილვა (22.20), ***НТВ плюс спорт.*** კალათბურთი. ნბა-ს ჩემპიონატი (11.45), ჭადრაკი. კასპაროვ-კრამნიკის მატჩი (17.15, 23.25), ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. მსოფლიო ჩემპიონატი. ფინალები (21.25), კრივი. პროფესიონალთა ორთაბრძოლები (1.00)

**9 დეკემბერი, კვირა**

***საქართველოს ტელევიზია. ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი" (23.30), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (12.25), „მსოფლიო ფეხბურთი" (19.35), ***EUROSPORT.*** ზამთრის პორტის სახეობები. მსოფლიო თასი (12.30, 13.15, 14.00, 15.00, 17.00, 21.00, 22.45, 23.30), ***НТВ плюс футбол.*** გერმანიის (13.20, 21.50), ინგლისის (15.15); „არსენალი" – „ასტონ ვილა" (19.55), იტალიის (17.00) ჩემპიონატები. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი (18.45), ***НТВ плюс спорт.*** ხელბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები (11.45), ჭადრაკი. კასპაროვ-კრამნიკის მატჩი (13.15, 17.00) მხატვრული ტანვარჯიში. რუსეთის თასი (15.15), კალათბურთი. ევროლიგის მიმოხილვა (16.15), ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. მსოფლიო ჩემპიონატი (21.25), სოლტ-ლეიკ-სიტის შესახვედრად (23.25), ტაილანდური კრივი (1.25).

## ლიუისს სურს შეაჩეროს ტაისონი

მძიმე წონაში პროფესიონალთა შორის ლენოქს ლიუისი აპირებს სასამართლოს გზით მიაღწიოს ტაისონისა და მერსერის ორთაბრძოლის აკრძალვას, რომელიც 2002 წლის 19 იანვრისთვისაა დაგეგმილი.




ინგლისელი ირწმუნება, რომ ის ზრუნავს ტაისონის ჯანმრთელობაზე. მომავალი წლის აპრილში ტაისონი და ლიუისი უნდა შეხვდნენ ერთმანეთს. ლიუისი შეშფოთებულია მერსერთან შეხვედრაში ტაისონის მოსალოდნელი ტრავმით. მიმომხილველების აზრით, ამ შეშფოთების მიზეზი ის არის, რომ ლიუის-ტაისონის მომავალი ორთაბრძოლა ყველაზე ძვირადღირებული იქნება კრივის ისტორიაში.

## კროსვორდი №96



**თარაზულად:** 1. ბიბლიური ბაღი, 7. ქართული ჭიდაობის ილეთი, 8. ტანვარჯიშული იარაღი, 10. „ფორმულა-1"-ის გუნდი, 11. ერთ-ერთი ტაქტიკური ნახაზი რაგბიში, 12. ფრანგი ფეხბურთელი, 13. წინასწარ გადახდილი თანხა, 16. ფეხბურთში 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელი ქალაქი, 17. ინგლისელი ფეხბურთელი, 19. წარსულში ჩოგბურთში ცნობილი მწვრთნელი საქართველოში, 23. სოფელი ყოფილ მახარაძის რაიონში, სადაც 60-იან წლებში სტადიონი აიგო.

**შვეულად:** 2. თბილისის „დინამოს" ვეტერანი ებრაელი ფეხბურთელი, 3. საცხენოსნო რბოლა გრძელ მანძილზე, 4. „მანჩესტერის" ფეხბურთელი, 5. ხტომისთვის ასასხლეტი მოწყობილობა, 6. ვეტერანი პროფესიული მოკრივე, 9. თბილისის „ტორდოს" და „დინამოს" ვეტერანი სომეხი ფეხბურთელი, 14. ფეხბურთში 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელი ერთ-ერთი ქვეყანა, 15. ცნობილი უკრაინელი ვეტერანი ფეხბურთელი, 18. ქართული ჭიდაობის ჰანგის ერთ-ერთი ინსტრუმენტი, 20. ვეტერანი ფეხბურთელი, საბჭოთა კავშირის ნაკრების ყოფილი კაპიტანი, 21. რაგბის საერთაშორისო ფედერაციის აბრევიატურა, 22. საბერძნეთის საფეხბურთო კლუბი, 24. ინგლისელი ფეხბურთელი.

### კროსვორდი №95-ის პასუხები

**თარაზულად:** 7. ემერსონი, 9. ბურე, 10. „ბასკო", 12. „პუმა", 13. შხარა, 16. ლარსენი, 17. „ბარი", 19. შორტი, 21. დოპინგი, 24. კასკადიორი. **შვეულად:** 1. იერიში, 2. ურო, 3. ფოლი, 4. ბიბა, 5. რურუა, 6. „მერანი", 8. სკოლარი, 11. ლაუდრუპი, 14. ხომერიკი, 15. ვერონი, 17. ბადე, 18. ენეი, 20. ტური, 22. „ოსი", 23. რაი.

## საჭადრაკო ამოცანა

ჯემალ მახათაძე (ზესტაფონი)



შამათი 3 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:

1. ეe1 მფd5 2. მf2 ef 3. e4X.
1. ...მფf5 მd2 ed 3. e4X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 899 55 48 97. ინდექსი 66411: INDEX ● „ლელოს" კომპიუტერული ცენტრი: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.